საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 28 მაისი, 2014 წელი.

№102 (7483)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

უზენაესი მიზანი – თავისუფლება

იხ. 2 გვ.

საჩუქრები ნაც-მოძრაობისთვის ③

რეინ ლიპარტელიანი თუ გვიშვილის!!! ④

სამინისტროთა კარები ისევ დაიხურა! ⑤

„მუნვე გელათის დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა...“ ⑨

„ხარს წითელი ნაჭრივით აუფრიალო სააკაშვილი?..“ ⑦

უკრაინის ახალ ხელისუფლებას კონსულტაციებს გაუწევენ ⑧

უკრაინა დსთ-დან გამოდის

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დატოვების პროცესის დაწყების გადაწყვეტილება თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს სხდომაზე მიიღეს.

— ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არა მარტო დსთ-ს თავმჯდომარეობის შეჩერების, არამედ ორგანიზაციიდან გამოსვლის პროცესის დაწყების თაობაზე, — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა, ანდრე პარუბიმ.

უფრო ადრე, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორმა ევგენი პერებიინისმა განაცხადა, რომ უკრაინა წყვეტს დსთ-ს თავმჯდომარეობას 2014 წელს.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ზეიმი

უზენაესი მიზანი – თავისუფლება

დამოუკიდებლობის დღე წლეულს საქართველოში განსაკუთრებულად აღინიშნა. თბილისთან ერთად სადღესასწაულო ღონისძიებებში 11 ქალაქი იყო ჩართული. 12 ქალაქში დამოუკიდებლობის დღე ერთიანი სცენარით აღინიშნა.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების მთავარი მოვლენა, თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ფიცის მიღების ცერემონიალი იყო. წვევამდელების ფიცის დადების ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დაესწრო, რომელმაც ფიცის დადების შემდეგ სამხედროებს და რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით მიმართა.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, დამოუკიდებლობა ის ქვაკუთხედია, რომელზეც ქვეყნის სახელმწიფოებრიობა შენდება. პრეზიდენტმა მავთულხლართების მეორე მხარეს მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მიმართა და მათ მადლობა გადაუხადა.

სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პასუხისმგებლობის გარეშე თავისუფლება განუკითხაობად გადაიქცევა.

„პასუხისმგებლიან ადამიანთა ერთობლივი შრომა ქმნის თავისუფალ ქვეყანას. დღეს ვზეიმობთ რა დამოუკიდებლობას, ამავე დროს ვიღებთ პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, წინაპართა ხსოვნისა და მომავალი თაობის წინაშე, რომ ვიყოთ უფრო თავისუფალი და შევქმნათ უფრო თავისუფალი ქვეყანა“, – მიმართა გიორგი მარგველაშვილმა რუსთაველის გამზირზე შეკრებილ მოსახლეობას.

პრეზიდენტის შემდეგ ტრიბუნა საქართველოს პრემიერ-მინისტმა დაიკავა. პრემიერმა 26 მაისი წვევამდელებს, შეიარაღებულ ძალებს და ოფიცრებს მიულოცა.მან საერთაშორისო მისიებში მონაწილე ჯარისკაცებსაც მიმართა და აღნიშნა, რომ ისინი საქართველოს სახელმწიფოს და ჩვენი შვილების მომავალს იცავენ უცხო მიწაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა წვევამდელებს უსურვა, არასოდეს განელებოდეთ ვაჟკაცური შემართება და სამშობლოს სიყვარული.

„მჯერა, თქვენ ღირსეულად ატარებთ საქართველოს ჯარისკაცის საპატიო სახელს და ერთგულად ემსახურებით ჩვენს სამშობლოს! რაც მთავარია, – მშვიდობას გისურვებთ! საქართველო ამაყობს თქვენით. თქვენთან ერთად ჩვენს ქვეყანას წინ დიდი მომავალი აქვს“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„სამშობლოს ერთგულება და მისთვის თავის შეწირვა ჩვენ სისხლში გვაქვს“, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ სიტყვით გამოსვლისას ქართველ სამხედროებს.

რუსთაველის გამზირზე 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიება დილიდან დაიწყო, სახალხო ზეიმში მონაწილეობა მიიღეს როგორც მთავრობის წევრებმა, ასევე რიგითმა მოქალაქეებმაც.აქ მოსახლეობას დილიდან შეეძლო დაეთვალიერებინა სხვადასხვა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი საინფორმაციო კუთხე. წარმოდგენილი იყო როგორც სამხედრო ტექნიკა, ისე იარაღები.

რუსთაველის გამზირზე ფეხით სეირნობდნენ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მათ გამოფენილი სტენდები დაათვალიერეს და მოქალაქეებს დამოუკიდებლობის დღე მიულოცეს. პრეზიდენტთან ერთად იმყოფებოდნენ მისი ქალიშვილი და მაკა ჩიჩუა.

ირაკლი ღარიბაშვილი კი ზეიმზე მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად იმყოფებოდა. ქვეყნის უმაღლეს პირებთან ერთად რუსთაველის გამზირზე ასევე სეირნობდნენ ვიცე-პრემიერი კახა კალაძე და გიორგი კვირიკაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე. მეუღლესთან და შვილთან ერთად იმყოფებოდა თბილისის მერობის კანდიდატი დავით ნარმანია.

თამთა ძარჩავა

პრემიერ-მინისტრმა პეტრე პოროშენკოს გამარჯვება მიულოცა

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პეტრე პოროშენკოს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს.

– ჩემი და საქართველოს მთავრობის სახელით, მინდა, გულწრფელად მოგილოცოთ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და გისურვოთ წარმატებები უკრაინისა და უკრაინელი ხალხის საკეთილდღეოდ. საქართველოსთვის ძალიან ღირებულია ქართველ და უკრაინელ ხალხებს შორის უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობები, რომლებიც ქვეყნებს შორის კეთილმეზობლურ და მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობებად იქცა. ჩვენს ქვეყნებს საერთო ინტერესები და მისწრაფებები აერთიანებს – საქართველოსა და უკრაინას აქვთ მტკიცე ნება, გააგრძელონ ევროინტეგრაციის პროცესი, რაც საბოლოოდ ჩვენს ქვეყნებს კეთილდღეობასა და სტაბილურობას მოუტანს. მჯერა, თქვენი ძალისხმევით უკრაინა დაძლევს ყველა სირთულეს და გააგრძელებს განვითარებას როგორც ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის მისალოც წერილში.

სექტემბერში მთის შესახებ კანონი გვექნება

სექტემბერში უკვე გვექნება კანონი მთის შესახებ და მთელი ყურადღება გადავა მთიანი რეგიონებისკენ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სოფელ ზარიძეების მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა. გუშინ მთავრობის მეთაურმა თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 80-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა, რის გამოც ბოლო წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა და მოსახლეობას გადაადგილების პრობლემას უქმნიდა.

როგორც რეგიონული განვითარების მინისტრმა აღნიშნა, ამ დროისთვის გზის აღნიშნული ნაწილის რეაბილიტაცია პრაქტიკულად დასრულებულია.

თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის 9 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი 2013 წლის სექტემბერში დაიწყო და ძირითადი სამუშაოები უკვე დასრულებულია. სამუშაოებზე, რომელსაც კომპანია „ბლექ სი გრუპი“ ახორციელებდა, 174 ადამიანი იყო დასაქმებული. პროექტის ღირებულება 8 888 888 ლარია.

გარდა ამისა, რეგიონული განვითარების მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა მთავრობის მეთაურს განუმარტა, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდი თიანეთის მუნიციპალიტეტის ზარიძეების თემში შემავალი 6 სოფლის წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. პროექტის დასრულების შედეგად ექვსი სოფლის 800 ოჯახს 24-საათიანი წყალმომარაგება და მაღალი ხარისხის გაფილტრული სასმელი წყალი ექნება. პროექტის ღირებულება 1 968 456, 96 ლარია. სამუშაოებზე დასაქმებულია 120 ადამიანი, რომელთა 50% ადგილობრივი მკვიდრია.

ასოცირების ხელშეკრულებაზე პრემიერი მოაწერს ხელს

საძართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება ერთჯერადად პრემიერ-მინისტრს გადასცა, – ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა დავით პატარაიამ განაცხადა. მისი თქმით, კონსტიტუციის მიხედვით, შეთანხმების დადების უფლებამოსილება პრეზიდენტის უფლებამოსილების სფეროშია.

– როგორც მოგეხსენებათ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება უნდა დაიდოს 27 ივნისს. ეს არის შეთანხმება, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის. კონსტიტუციის მიხედვით, ამ ყოვლისმომცველი შეთანხმების დადების უფლებამოსილება პრეზიდენტის უფლებამოსილების სფეროშია. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ განზრახული აქვს ხელშეკრულების ხელმომწერად განისაზღვროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. იმისთვის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმოწერის უფლება განხორციელდეს ისე, რომ არც დღეს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მომავალში, არ დაისვას კითხვის ნიშნები ხელმოწერის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გადასცეს ერთჯერადად საქართველოს პრემიერ-მინისტრს, – განაცხადა პატარაიამ.

მისივე თქმით, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 და მე-13 მუხლების შესაბამისად, ამ შეთანხმების ხელმოწერის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულების სახით, რომელიც საჭიროებს პრემიერის კონტრასიგნაციას.

– შესაბამისად, გაცნობებთ, რომ დღეს ვუგზავნით საქართველოს მთავრობას შესათანხმებლად პრეზიდენტის ბრძანებულებას, რომლის მიხედვით, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრს ანიჭებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილებას. იმედი გვაქვს, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის შეთანხმების კონსტიტუციური პროცედურა უახლოეს დღეებში დასრულდება, – აღნიშნა პატარაიამ.

ზურაბ ჭიაბერაშვილს თავს დაესხნენ

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ზურაბ ჭიაბერაშვილს თავს დაესხნენ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურის უფროსმა გიორგი პატარაიამ განუცხადა.

– ზურაბ ჭიაბერაშვილი დამიკავშირდა და მითხრა, რომ თავს დაესხნენ, თუმცა, დეტალები არ ვიცი. ახლა მივდივართ ადგილზე, – განაცხადა პატარაიამ. მისივე თქმით, თავდასხმა აბაშიძის №22-ში მდებარე ლიტერატურულ კაფეში მოხდა. ზურაბ ჭიაბერაშვილი ლიტერატურულ კაფეში ნოდარ ლადარიასთან ერთად იმყოფებოდა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილს თავს დაესხნენ რეჟისორი გიორგი მგელაძე და რეზო თაბუკაშვილი უმცროსი. ჭიაბერაშვილს დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჭიაბერაშვილი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმებმა ჭიაბერაშვილს პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს და თავის არეში მიყენებული ჭრილობები შეუხვიეს.

ამასთან, ჟურნალისტებთან საუბარში ზურაბ ჭიაბერაშვილი იხსენებს, რომ კაფეში თავად და ნოდარ ლადარია ერთად შევიდნენ, სადაც მათი მეგობარი თორნიკე შარაშენიძე დახვდათ. 10-15 წუთის შემდეგ კი ორი ადამიანი რეზო თაბუკაშვილი და გიორგი მგელაძე შევიდნენ კაფეში.

– რეზო თაბუკაშვილს ხელში ეჭირა ჩაის ჭიქა, მდუღარე ჩაი შეასხა ნოდარს სახეში და შემდეგ ეს ჭიქა ისე, რომ მე ადგომა ვერ მოვასწარი, თავში ორჯერ ჩამარტყა. როცა წამოვდექი, უკვე თვალსა და საფეთქელს შორის ჩამარტყა, – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, თავდამსხმელებმა ერთადერთი რაც თქვეს, იყო ის, თუ როგორ ბედავდნენ ისინი ქუჩაში სიარულს.



საჩუქრები ნაცმოძრაობისთვის

ევროპარლამენტის არჩევნებზე ევროპის ქვეყნებში სიმშვიდე, შეიძლება ითქვას, საზეიმო ვითარება სუფევდა. არ ყოფილა ცოცხები, მუშტიკრივი და დედ-მამის სულის ტრიალი.

საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ერთიც იყო, მეორეც და მესამეც. კიდევ უფრო მძიმე ვითარება გახლდათ უკრაინაში — იქ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებმა დაუნდობელი სისხლისღვრის ფონზე ჩაიარა.

ვითარება უკრაინაში წინასაარჩევნოდაც უკიდურესად დაძაბული იყო. უკვე „დამოუკიდებელ ყირიმის რესპუბლიკას“ რომ თავი დავანებოთ, სამოქალაქო ომის გამო არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდა ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების ბევრ რაიონში. ვრცელდებოდა ინფორმაციები ათეულობით მოკლულისა და ასეულობით დაჭრილის შესახებ. ჯერჯერობით უცნობია, 35 მილიონი ამომრჩევლიდან საპრეზიდენტო არჩევნებში, ფაქტობრივად, რამდენმა მიიღო მონაწილეობა. წინასწარი მონაცემებით, პოროშჩენკომ ამომრჩეველთა ხმების 57 პროცენტი მიიღო, ლიაშკომ და ტიმოშჩენკომ, შესაბამისად — 12 და 8 პროცენტი. საინტერესოა, რომ პოროშჩენკო თავის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა არ მიუღია — იგი სეპარატისტების წინააღმდეგ შეიარაღებული წინააღმდეგობის კამპანიას ხელმძღვანელობდა.

არჩევნებისას კალაშნიკოვის ავტომატიც საკმაოდ შთამბეჭდავი არგუმენტია.

ქართულ ნაციონალურ მოძრაობას უთუოდ სიამაყით აავსებს გავრცელებული ინფორმაცია, რომ 26 მაისს პოროშჩენკოსთან შესახვედრად კიევში თვით მიხეილ სააკაშვილი ჩაფრინდა.

თუ ევროპარლამენტის არჩევნებზე საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა, ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობდა ქართული წინასაარჩევნო კამპანია. მარტო თენგიზ გუნავას, ნაციონალური მოძრაობიდან ზუგდიდის მერობის კანდიდატის განცხადება რად ღირს — **ნაცმოძრაობა სამეგრელოში აუცილებლად გაიმარჯვებს, რადგან აქაურებს ჩვენი ნაკეთები საქმეები კარგად ახსოვთო!**

ეტყობა, თენგიზ გუნავამ თვითონ არ იცის და ახლომახლო ვინმე ისეთი გულშემატკივარიც არ ჰყავს, სამეგრელოში ნაცმოძრაობის ნაკეთები საქმეების შესახებ რომ ჩუმად შეახსენოს და ისიც უთხრას, ახლა მხოლოდ იმ ადამიანების იმედი შეიძლება გქონდეთ, თქვენი მმართველობის პერიოდში ვისი სიბინძურეში ბოლომდე ჩათრევა მოახერხეთო. ან ბატონ თენგიზს სამეგრელოც და დანარჩენი საქართველოც იდიოტებით დასახლებული ჰგონია.

გასულ კვირაში ბათუმის საკონსტიტუციო სასამართლომ მშვენიერი საჩუქარი უძღვნა ნაცმოძრაობას — უკანონოდ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რითაც ქუთაისის სასამართლომ თავის დროზე გიგი უგულავა თბილისის მერის თანამდებობიდან გადააყენა. ასე რომ, ბატონ ნამერაღლს აქვს თეორიული შანსი, არჩევნებამდე რამდენიმე საათით მაინც მშობლიურ კაბინეტში დაბრუნება მოასწროს.

იქნებ მეჩვენება, მაგრამ ბოლო წლების საქართველოში ნებისმიერი რანგის არჩევნებისას რატომღაც რომელიმე მომაკვდინებელი ინფექცია ვრცელდება. ამჯერად ეს გახლავთ მენინგიტის ვირუსი, რომელიც ყველაზე მეტად მცირეწლოვან ბავშვებს ემტერება. ჯანმრთელობისა და განათლების სამინისტროები, დასუფთავებისა და სადეზინფექციო სამსახურები მობილიზებულია. სკოლებსა და საბავშვო ბაღებში სწავლის პროცესი დროებით შეჩერებულია. ჭამის წინ და ტუალეტიდან გამოსვლის შემდეგ ხელების დაბანის აუცილებლობაზე აგრესიული სააგიტაციო სამუშაო უკვე გაწეულია.

ქართულ მედიაში ძალიან გააქტიურდა მსჯელობა ბიზნესმენ ლევან ვასაძის ქართულ პოლიტიკაში შესაძლო გამოჩენის თაობაზე. ამ ხმებს თავად ბატონი ვასაძის პოლიტიკური განცხადებები უწყობს ხელს. შეძლებისდაგვარად გადავხედე მის ბოლოდროინდელ საჯარო გამოსვლებს (თუ ქართულ საინფორმაციო სააგენტოებს დაეჯერება) და მათი არსი ძალიან მოკლედ ასეთია: რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა; დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკის გატარება; მოქალაქეთა სოციალური პირობებისა და განათლების დონის ამაღლებაზე ზრუნვა; ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება; ევროკავშირისა და NATO-ს წევრობაზე ოცნებებისთვის თავის დანებება.

ვერაფერს ვიტყვით, მშვენიერი წინადადებებია.

და ერთი კიდევ მართლაც სასიხარულო ინფორმაცია: საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია გრიგოლ (გიგი) გოგელია — ბრწყინვალე იურისტი, საერთოდ, ბრწყინვალე გონების უაღრესად წესიერი და განათლებული ადამიანი, უპარტიო, შესანიშნავი ოჯახის შვილი და შესანიშნავი ოჯახის მამა. მის მოადგილედ არჩეულია ასევე შესანიშნავი და უაღრესად კომპეტენტური ადამიანი, პროფესორი მარინა მუსხელიშვილი.

ჯონგა მოგვილოცა, ჯონგა!

26 მაისს დამოუკიდებლობის ჩუქების 23-ე წლისთავი ვიზეიმეთ. მთავრობამ პრეზიდენტ მარგველაშვილს, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, ჯარისკაცებისგან ფიცის მიღების ნება დართო, თუმცა, ბოლომდე არც ახლა გაახარა და ჯარისთვის სიტყვით მიმართვის პატივი პრემიერ ღარიბაშვილს არგუნა.

საზეიმო ღონისძიებები სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, სპორტული ღონისძიებების თანხლებით თბილისის გარდა, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში გაიმართა. ამავე დროს, თბილისის რამდენიმე უბანში სხვა საზეიმო ღონისძიებებთან ერთად „ყვავილების დღესასწაულები“ მოეწყო. მართლაც თვალწარმტაცი სანახაობა იყო!

რაც მთავარია, ასე მახლობელი ვაშინგტონიდან ვიცე-პრეზიდენტმა ჯონ კერიმ მოგვილოცა, თქვენ გენაცვალეთ, მა

როინ ლიპარტელიანი თუ გვიშველის!!!

როგორც იქნა უკრაინის პრეზიდენტის ნანინანატრი არჩევნები გაიმართა. ბევრისმნახველი უკრაინის საზოგადოებაც კი შოშკი ჩააგდო ქვეყნის უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე პრეტენდენტთა რაოდენობამ და ხარისხმა.

23 კანდიდატიდან 9 – სისხლის სამართლის დამნაშავე ყოფილა, 12 – ფარული შემოსავლების მქონე, 9 – ხმაურიან კორუფციულ სკანდალებში გახვეული, 6 – ოლიგარქი, 7 – პრაქტიკულად ღატაკი (მათგან 2 – ნულოვანი შემოსავლებით), 6 –- ოფიციალურად უმუშევარი, 1 – ჰომოსექსუალისტი, 2 – საიდუმლო სამსახურთან დაკავშირებული.

თბილისის მერობის კანდიდატთა რიცხვიც ასეთივე მირიადია, თუმცა, არავის დაუანგარიშებია მათ შორის რამდენია საყულფე ავაზაკი, „ლევი“ მაყუთის მქონე, კორუფციონერი, ფარული ჰომოსექსუალისტი, ოლიგარქი თუ სექსოტი...

ოღონდ ყველა მათ აერთიანებთ ერთი საერთო მსაზღვრელი – ზღვარდაუდებელი, ლაგამაყრილი, აღუსრულებელი დაპირებები.

მე რომ ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს, თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას ვუსმენ, თავის და თანაპარტიელ მელიას ნაცვლად მოლაპარაკეს, უკვე აღარაფერი მიკვირს.

რა შაქარი, რა ჭიკჭიკი, რა წარმოსახვა, რა თვალების ჟუჟუნი...

როგორ ვყვარებივართ ამომრჩევლები, როგორ ჩვენით და ჩვენთვის ცხოვრობს თურმე.

თვითონ აღარ იყრის კენჭს მერობაზე, მაგრამ ნიკა-ნიკანდრო მელიად გარდასახასხასებს მწვანედ და თბილისს ააახასხასებს მწვანედ და თეთრად.

შენ არ მოუკვდი შენს პატრონს, გიგიიმედო!

რამდენადაც ერთი სიტყვაც არ მჯერა მელიასი, ნაციონალთა საჯანაბო ქისიდან რომ აპნევს იმედებს ორივე პეშვით, ისე გიგის ყოველი დაპირება გწვდება გულ-ბოყვში და იმედით გავსებთ, რადგან თუმცა, ვიცით, არაფრის გამკეთებელი არც აქამდე ყოფილა და არც აწი იქნება საშუალება რომც მიეცეს, მაგრამ ისე თავგადადებულია ნაციონალთა დიადი მიზნებისთვის, ისე მატროსოვივით აფარებულია დასავლეთ ნახევარსფეროში მოროჭიკე თავის ყოფილ პრეზიდენტს, რაღაც ფარცაგს შეიძლება გადაეყაროს და მეცოდება ეს ერთიან ენად ქცეული კაცი.

თვითმმართველობის არჩევნები არჩეულ თვითმმართველობას დანატრებულ საქართველოში 15 ივნისს გაიმართება. აირჩევა 71 საკრებულო, 12 მერი და 59 გამგებელი.

ბიძინა ივანიშვილმა თავიდანვე გამოკვეთა არჩევნების არსი: უნდა დამთავრდეს პოლიტიკოსი მერი, მეურნე მერი გვჭირდებაო.

პარტიათა ნაწილმა უკვე დაასრულა მეურნე მერობის კანდიდატთა დასახელება:

ქართული ოცნება – დავით ნარმანია;

ნაციონალური მოძრაობა – ნიკა მელია;

არასაპარლამენტო ოპოზიცია – კახა კუკავა;

„ნინო ბურჯანაძე – გაერთიანებული ოპოზიცია“ – დიმიტრი ლორთქიფანიძე;

ლეიბორისტული პარტია – ასმათ ტყაბლაძე...

დავით ნარმანია ამ სიის თავში ტყუილად როდი სწერია. იგი გამოკვეთილად გამარჯვების რეალური კანდიდატია. ჰოდა, ამიტომ გიგი უგულავამ „ქართული ოცნების“ მიერ ნარმანიას მერობის კანდიდატად დასახელება, „კალიგულას ცხენად“ შეაფასა. ინფრასტრუქტურის მინისტრად ყოფნისას ვერაფერი გააკეთა, ყველა პროგრამა ჩააგდოო.

ოლოლო შენ!

ნარმანია მშვიდი, გაწონასწორებული კაცია. მაგრამ მთავარი ეგ როდია. სიმშვიდისა და გაწონასწორებულობის გარდა სხვა ღირსებებიც აქვს: საქმის კაცია, საქმის გაკეთება შეუძლია და ზედმეტი, ჰაიჰარა ლაპარაკით ენას არ იღლის.

აი, ნიკა მელიამ ტელეარხებზე (განსაკუთრებით „რუსთავი-2“-ზე) 24-საათიანი ტრიალის და ყველა საჭირო თუ არასაჭირო, მოსალოდნელ თუ მოულოდნელ ვითარებაში ეკრანზე თავის გამოყოფის გარდა, ის თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა (თუნდაც, პირადად მე).

ყოველთვის და ყველასთან დაუღალავი მებრძოლის კახა კუკავას უკომპრომისობა ამ დღეებში უკვე აშკარად თვითმიზანი ხდება.

რვა შვილის მამა, გაულანძღავი კაცი დიმიტრი ლორთქიფანიძე, თავის დროზე, სახალხო დამცველის პოსტზე დანიშვნისას ყოვლად უსამართლოდ, გაუმართლებლად დაჩაგვრის გამო ახლა კომპენსაციის სახით ამომრჩევლის დაუფარავ სიმპათიებს იხვეჭს.

ასმათ ტყაბლაძის უკვდავი ხატება ახრჩოლებული საბურავების ფონზე, დღემდე ატყვევებს არა მარტო ჩვენს, არამედ თვით მის წარმოსახვასაც. მართალია ასმათის პოლიტიკურ რენომეს დამწვარი რეზინის სუნი ასდის, მაგრამ მას, როგორც ვხედავთ, გული ერჩის. ეს მცირე ღირსება როდია.

წელან ვთქვით, გიგიმ, სხვა რომ ვერაფერი მოუდო, დავით ნარმანიას მერობის კნადიდატად დასახელება კალიგულას ცხენს შეადარაო. აქაოდა, იმპერატორმა კალიგულამ თავისი ცხენი სენატორად დაასახელაო, რა სენატორობასაც ის რაში გასწევდა, ისეთ მერობას გასწევს ნარმანიაო.

გიგი ენაკვიმატი, უფრო სწორედ ენატყლაშუნა კაცია. რაკი ისტორიული იორღა აირჩია თავისი ცხენური შედარებისთვის, მეც შევუჭიხვინებ და მისი და მისი პარტიის დასახასიათებლად ტროას ცხენს გავიხსენებ: ნაციონალური მოძრაობა დღეს ისეთივე როლს ასრულებს ქვეყნისთვის, რასაც ოდისევსის მიერ შეგდებულმა ხის ცხენმა შეასრულა ტროაში. ეს შედარება ბევრად უპრიანი მგონია.

ამ მხნე გიგის განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილი ჰყავს ამოჩემებული. რატომღაც დაბალ ღობედ მიაჩნია და რას აღარ აბრალებს, არც ერთი მისი ნათქვამი არ შესრულდაო, ეგ რა პოლიტიკოსიაო.

ერთი „პატარა ნიუანსი“ ავიწყდება, მთავარი და უმნიშვნელოვანესი: გამოვიდა თუ არა პოლიტიკურ სარბიელზე, პირი დააღო თუ არა, უმალ ის თქვა, სააკაშვილის სამარცხვინო, ქვეყნის დამღუპველი რეჟიმი უნდა დავამხოთ, თუ საქართველოს გადარჩენა გვინდაო.

მერე, ვერ აღასრულა ნათქვამი, ვერ მოუგრიხა კისერი?

აღასრულა, მოუგრიხა!

კი, ამასთან ერთად, უხვ დანაპირებათაგან ზოგიერთი ჯერჯერობით მართლაც ყინულზე დაწერილი აღმოჩნდა!

იგვიანებს კონკრეტული მოქალაქეებისთვის სამართლიანობის აღდგენა. ამას ვერ გაექცევი, მაგრამ როცა სამართლიანობა მთელი ქვეყნის მასშტაბით აღდგა, შეიძლება კონკრეტულმა სამართლიანობებმა დააგვიანოს. მათ შორის თვით გიგი უგულავას და თავდაცვის ყოფილ მინისტრ დავით კეზერაშვილის მიმართ, რომლებსაც გამოძიება რიყის ტერიტორიისა და ტელეკომპანია „იმედის“ გასხვისების საქმეზე ედავება და სასამართლო 18 ივნისამდე როა გადადებული. ვაითუ, სასამართლოს შემდეგ გიგის ამდენი სალაპარაკო და საყვირელი აღარ დარჩეს...

დამთავრდა საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში და შეიძლება ახალი სახარხაროს მომსწრენი გავხდეთ:

არის ვარიანტი, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ყოფილმა ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ უკრაინის ახალი პრეზიდენტის პეტრე პოროშენკოს კარზე მნიშვნელოვან სახელოს – მრჩევლობას გამოჰკრან ხელი. ეს ვარაუდი ჩიტმა როდი მოიტანა – ამის შესახებ პარტია „უდარის“ ლიდერმა და კიევის მერის არჩევნებში გამარჯვებულმა ვიტალი კლიჩკომ განაცხადა.

თუ სააკაშვილის მრჩევლობის ამბავი მართლაც ნაღდია, კიევი სწორედ რჩევის დარგში უშვებს პირველ შეცდომას, რომელიც მას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მისცა – ძმებო, სააკაშვილი არ გაიკაროთო!

თუმცა, ეს კია, ვ. კლიჩკომ თავის ცნობას ისიც მოაყოლა, სააკაშვილმა თვითონ მოახდინა თანამშრომლობის ინიცირებაო.

ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო!..

არადა, გამორიცხული როდია, რომ პოროშენკოს მრჩევლად ამ კაცის დანიშვნამ, შეიძლება უხერხულობა შეუქმნას ორი ქვეყნის ხელისუფალთ ურთიერთობაში (ამის შესახებ მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა კიდეც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა).

მთელ მსოფლიოში ერთადერთი იმედიანი თეა თუთბერიძეა, დაგვამწყალობა, უკრაინელი ხალხი შეძლებს სააკაშვილის გამოცდილების გადაღებას და გაზიარებასო.

ახლა ამას ბენდუქიძის გამოცდილებასაც თუ დავუმატებთ, გაკეთებულან უკრაინელები და ეს არის!

მაგრამ უკრაინა თავის თავს მოუვლის, ჩვენ კი ჩვენი სატირალი გვაქვს. რაც უფრო ახლოვდება 15 ივნისი, თბილისის მერობის კანდიდატები სულ უფრო თავს გადიან ზღაპრული დაპირებებით.

როინ ლიპარტელიანი თუ გვიშველის, როინ ლიპარტელიანი გვინდა მერად!!!

ალეკო ასლანიშვილი

◎ კაკალ გულში

ნერტილოვანი ფრაზები

● **მარგველაშვილმა ცოლი რომ მოიყვანოს, ხელს პრემიერ–მინისტრი მოაწერს, თუ პარლამენტის თავმჯდომარე?**

● **ხომ აღადგინა საკონსტიტუციო სასამართლომ უგულავა მერის პოსტზე, ჰოდა ორშაბათიდან ბენზინი, გაზი და საზოგადოებრივი ტრანსპორტი თუ არ გააიაფა, ნაღდად არ მივცემ ხმას და ვიტყვი, რომ მატყუარა ყოფილა (გულუბრყვილო კაცის სმაილიკი).**

● **გაირკვა რომ ენერგეტიკაში საერთოდ არ აღებულა პრემიები, თავდაცვაშიც არ გაცემულა! პოლიციაზეც ამბობენ უპრემიოდ იყვნენო.....და მგონი ჩვენ აგვიღია პრემიები და ვმალავთ!**

● **რაის მიშას მომშორებლები ხართ. ბარამიძე გტუქსავთ ჭამის წინ და ჭამის მერე, დღეში სამჯერ. ჩვენ დავამთავრეთ მიშა, ჩვენ, ხალხმა!**

● **წინასაარჩევნოდ რომ სიგიჟემდე ვუყვარდებით კანდიდატებს, ეს არახალია, მაგრამ ერთი იმათ ტვინში ჩამახედა ვინც ხათრით აკეთებს არჩევანს... ამ ქალაქში ცხოვრებას არ აპირებთ?**

● **ახალი მოწვევის თბილისის საკრებულოს უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს თბილისის „კონსტიტუციის“, ანუ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შექმნა. ეს დოკუმენტი უნდა შემუშავდეს თბილისის მოქალაქეებს შორის მიღწეული კონსენსუსის შედეგად. ამ დოკუმენტმა უნდა მოიცვას ქალაქის განვითარების ყველა ასპექტი; თუ როგორ განვითარდება ქალაქი ურბანულად, არქიტექტურულად, როგორი იქნება ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირების სქემა, რა შემოსავლები ექნება ქალაქს, როგორ განვითარდება ადგილობრივი ბიზნესი და ა.შ. თბილისის „კონსტიტუციის“ მიღებამდე ყოველგვარი მშენებლობა ქალაქის ცენტრალურ და ისტორიულ უბნებში, ასევე არსებული სკვერების და პარკების ფარგლებში, უპირობოდ უნდა აიკრძალოს.**

● **კუკარაჩას სიკვდილის შემდეგ არ მეგონა თუ მაცაცოს ტრაგედია ასე დამაობლებდა...**

● **ეს ლალი მოროშკინა, რავა „დოქსოპულოსავით“ დაერია დარბაისლებს!**

● **ბაჩო ახალაია: ჩემი მთავარი ამოცანა საქართველოში დარჩენა და აფხაზეთის დაბრუნებაა!!! როლანდ, გაიღვიძე შე დავარდნილო, ბიჭი მოგესწრო!**

● **სადაც არ გაიხედავ, ყველგან მელ-ბორდებია.**

● **სად შეიძლება ვნახო იმ მოციქულების სია, ვინც გელა – მიხეილ სალუაშვილის სიით იყრის კენჭს?**

● **გივი სიხარულიძემ სექსი მგონი მარტო მოყოლით იცის.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

შვიდი ათასმა გოგონამ სწავლას გათხოვება არჩია

ნაადრევ ქორწინებებთან დაკავშირებული სტატისტიკა საგანგაშოა, – ასეთ შეფასებას სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი აკეთებს. ომბუდსმენის თქმით, „პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ არსებობს კავშირი ოჯახურ ძალადობასა და ნაადრევ ქორწინებას შორის“.

– სტატისტიკა ნამდვილად საგანგაშოა. საუბარია იმაზე, რომ 7 ათასზე მეტმა გოგონამ განათლების მიღება ძირითადად სწორედ ნაადრევი ქორწინების გამო ვერ დაასრულა. აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება იმ შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით, რაც ნაადრევმა ქორწინებამ შეიძლება გამოიწვიოს. სამწუხაროდ, ამ მხრივ საზოგადოებაში არანაირი საინფორმაციო კამპანია არ ყოფილა. ჩვენი რეკომენდაციაა, დაიწყოს საზოგადოების ინფორმირებულობა. ასევე მნიშვნელოვანია სტატისტიკის წარმოება, რათა გვქონდეს უფრო ზუსტი ციფრები, ვიდრე დღეს გაგვაჩნია, – აცხადებს სახალხო დამცველი. საქართველოში მცხოვრები ქალების დაახლოებით 18% 18 წლის შესრულებამდე არის დაქორწინებული.

ინტერპრესი

◎ დამალული ათასეული

სამინისტროთა კარები ისევ დაიხურა!

რა მდგომარეობაა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით?

კვლევებმა აჩვენა, რომ სამინისტროებმა რატომღაც მოტივაცია დაკარგეს და საჯარო ინფორმაციას აღარ გასცემენ ისეთი ენთუზიაზმით, როგორც ხელისუფლებაში მოსვლის დროს. მაგრამ თუკი პრემიებისა და სახელფასო დანამატების ხმაურიან სკანდალს გავიხსენებთ, ეს ამბავი საკვირველი სრულებითაც არ უნდა იყოს.

ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტმა – IDFI-მ საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მიხედვით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი შეადგინა. ამ რეიტინგში პირველ ადგილს ინარჩუნებენ რეგიონული განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტროები. აშკარა პროგრესი განიცადეს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ და მთავრობის კანცელარიამაც. ჩამონათვალში ბოლო ადგილზე არის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც აქამდეც ამ პოზიციაზე იმყოფებოდა. საკვირველია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქმედება, რომელმაც ბოლო ერთი წლის მანძილზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 61 პროცენტით შეამცირა.

IDFI-მ მსგავსი კვლევები უკვე სამჯერ ჩაატარა: საპარლამენტო არჩევნებამდე, 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის სექტემბრამდე და ახლა, 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მარტამდე. მოცემულ პერიოდში ინსტიტუტმა 29 ცენტრალურ დაწესებულებას მიმართა 493 მოთხოვნით. აღმოჩნდა, რომ რიგი სამინისტროების შემთხვევაში დაფარულია ისეთი მონაცემებიც, რომლის დეტალური გასაჯაროებაც მათ მიერ უზრუნველყოფილი იყო პოლიტიკური ცვლილებების საწყის ეტაპზე. მაშინ აბსოლუტურად დადებითი ტენდენციები შეინიშნებოდა. მაგალითად, თუ წინა ხელისუფლება მხოლოდ 39 პროცენტს უპასუხებდა სრულყოფილად, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ეს მაჩვენებელი ორჯერ გაიზარდა. თუმცა, ბოლო კვლევით კლების ტენდენცია გამოვლინდა. სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა 14 პროცენტით, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნები გაიზარდა 5 პროცენტით.

კვლევის ხელმძღვანელი **გიორგი კლდიაშვილი** ამბობს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის დროს საჯარო დაწესებულებები სიხარულით აწვდიდნენ ინფორმაციებს ძველი ხელისუფლების ხარჯების შესახებ, თუმცა, ახლა საკუთარი ფინანსების გასაჯაროებისგან თავს იკავებენ: **„წინა კვლევის დროს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კონკრეტული გვარისა და სახელების მითითებით მოგვაწოდა ინფორმაცია დიპლომების, სახელფასო დანამატების, პრემიების, სამივლინებო ხარჯების, აუდიტების შესახებ, თუმცა, ამჯერად, ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ გრაფაშია ჩაყრილი, რისი კონკრეტიზაციაც უკვე ვერ ხერხდება. ასევე მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში. მათ თავიდან დეტალურად მოგვწერეს პასუხი წინა ხელისუფლების დახარჯული თანხების შესახებ, მაგრამ ახლა ასეთი სახის ინფორმაციების დიდი ნაწილი უპასუხოდ დატოვეს“,** – დასძენს ის.

შესაბამისად, ყველაზე არაანგარიშვალდებულ საჯარო დაწესებულებებს აღნიშნულ პერიოდში წარმოადგენენ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და ფინანსთა სამინისტრო. საგულისხმოა, რომ საწყის ეტაპზე ხადურის უწყება ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა მოთხოვნილ ინფორმაციათა მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტი დაკმაყოფილა, მათ შორის დიდ უმეტესობას არასრულყოფილი პასუხი გასცა.

ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მდგომარეობა გაუუმჯობესდათ საქართველოს პარლამენტს, თავდაცვის სამინისტროს, განათლების, სოფლის მეურნეობის და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროებს, ოღონდ მცირედით. სამაგიეროდ, განვლილ პროექტთან შედარებით საგრძნობი გაუარესება ჩანს იუსტიციის სამინისტროში, კულტურის სამინისტროში, ენერგეტიკის სამინისტროში. სამწუხაროდ, ამ სიას მიეკუთვნებიან საგარეო საქმეთა სამინისტრო და ჯანდაცვის სამინისტრო...

საინტერესოა, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიდგომა პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის თაობაზე. მსგავსი ინფორმაცია წინა მონიტორინგის დროს IDFI-ის წარუდგინა დეტალურად სახელისა და გვარის მითითებით, ამჯერად კი განუმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეიცავს პერსონალური მონაცემების ნიშნებს და მხოლოდ 3 თვის დაგვიანებით დაკმაყოფილა ინსტიტუტის მოთხოვნა.

რას ვიზამთ, ჩვენ ხომ პარადოქსები არ გვაკვირვებს... მაგრამ სამწუხაროა, რომ არც კანონი უზრუნველყოფს ჯეროვნად, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ საჯარო პირებს ინფორმაციის გაუცემლობის შემთხვევაში. არადა, ვალდებულება მკაცრია – 10 დღის ვადაში უნდა გაეცეს პასუხი ყველა კითხვას. ვერ გეტყვით, რას ემსახურება IDFI-ის რეიტინგებიც, ნუთუ სამინისტროებს ნამუსს გაუღვიძებს?!

ინფორმაციისთვის დავძენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები იუსტიციის სამინისტროს საკონსულტაციო ჯგუფთან შეთანხმებით ახალ კანონპროექტზე მუშაობენ. ისინი იმედოვნებენ, რომ ახალ კანონში კონკრეტულად გაიწერება ის ვალდებულებები და შესაბამისად, სადამსჯელო მეთოდები, რომელიც უკეთესად უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საჯარო დაწესებულებებში...

თეა მოსია

◎ მედიკამენტების ბაზარი

წამლის ფასზე „შემჯდარი“ ნაცმოძრაობა

მედიკამენტების ფასი წინასაარჩევნო დაპირისპირების საგნად იქცა. ჩასაფრებულ მდგომარეობაში მყოფმა ნაცმოძრაობამ შესაბამისი დრო მოუძებნა წამლების გაძვირების თემას. მთავრობიდან შესაფერისმა პასუხმაც არ დააყოვნა.

ნაციონალური მოძრაობის წევრის ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ქვეყანაში მედიკამენტებზე ფასებმა მოიმატა. მისი განცხადებით, 2012 წლის ფასებთან შედარებით ფასები გაზრდილია ისეთ საბაზო წამლებზე, რომელსაც მოსახლეობა ყველაზე აქტიურად მოიხმარს.

„ხელისუფლების გაუაზრებელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ლარის გაუფასურება და ფასების ზრდა, რისი ნათელი მაგალითიცაა მედიკამენტების ღირებულების მატება. ამის გამო, დღეს ქვეყანაში მცხოვრები პენსიონერების, სოციალურად დაუცველი ადამიანების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა და ისინი უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე რამდენიმე თვის წინათ იყვნენ.

ამის მიზეზი ხელისუფლების გაუაზრებელი პოლიტიკაა, ზოგადად, ეკონომიკის და, მათ შორის, ჯანდაცვის სფეროში. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ ვერ მოიტანა ის სიკეთე, რასაც მოქალაქეები ამ პროგრამიდან ელოდნენ და რასაც მათ „ქართული ოცნება“ ჰპირდებოდა“, – განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

მისი ინფორმაციით, განსხვავებით 2012 წლამდე დანერგილი ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტებისგან, ეს პროგრამა საერთოდ არ ფარავს მედიკამენტების ხარჯს.

„საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის არასწორმა წარმართვამ ჯანდაცვის სფეროში, მათ შორის, წამლებზე, ფასების ზრდა გამოიწვია. საქსტატის ბოლო მონაცემები ცხადად აჩვენებს ჯანდაცვის სფეროში ფასების შემდეგ მატებას: ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება – 7,1 პროცენტი, სამედიცინო პროდუქცია (მათ შორის, მედიკამენტები), აპარატურა და მოწყობილობა - 6,8 პროცენტი და საავადმყოფოების მომსახურება – 2,7 პროცენტი“, – აცხადებს ჭიაბერაშვილი.

წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა ეს დასკვნა ემყარება რამდენიმე დღის წინათ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას წამლების ფასის მატებასთან დაკავშირებით, თუმცა, ეს ყველაფერი ჭიაბერაშვილმა ნაცმოძრაობის ენაზე გადათარგმნა. მედიკამენტები ბოლო დროს მართლაც გაძვირდა, მაგრამ 2012 წლის არჩევნებამდელ ფასებს არავითარ შემთხვევაში არ გატოლებია. ის, რაც ბოლო 1 წლის განმავლობაში გაიაფდა, ცოტათი მართლაც გაძვირდა (ძირითადად, ლარის კურსის მერყეობის გამო), თუმცა, ნაციონალური მოძრაობის ფასებთან შედარებით, მაინც თვალშისაცემად დაბალია.

ამასვე ამტკიცებს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკოც. მისი აზრით, საფთიაქო ბაზარზე მედიკამენტებზე მნიშვნელოვანი გაძვირება არ შეინიშნება.

„მე არაერთხელ აღმინიშნავს და ახლაც ვამბობ, რომ მაქვს გარკვეული კორექტული, კორპორაციული სოლიდარობის შეგრძნება და ჩემი ყოფილი კოლეგების კრიტიკას ვერიდები, მაგრამ, რაც დრო გადის, ესენი ამ შანსს მიმცირებენ. რაღაც გამოცდილება მეც მაქვს ცხოვრებაში და იშვიათად შემხვედრია ასე ნეგატივზე ორიენტირებული და ნეგატივის მაძებარი აქტივობა, რასაც ახლა ვუყურებ ჩემი ყოფილი კოლეგების მხრიდან. ვგულისხმობ ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილსა და სანდრო ურუშაძეს. აშკარად ისეთი პათოსით აღწერენ კატაკლიზმებს ქართულ ჯანდაცვაში, თითქოს ეს სადღაც მტრულ სახელმწიფოში ხდებოდეს და ჩვენს მოქალაქეებს არ ეხებოდეს“, – დასძინა მინისტრმა.

მისი თქმით, ფასების მონიტორინგს აქვს თავისი მკაცრი წესები და მთლიანი მედიკამენტების ჩამონათვალი, რომელიც ათასობითაა, სხვადასხვა ლოტებად იყოფა და მონიტორინგი ასე ხორციელდება. **„ეს ლოტები არის ე.წ. „ბესტსელერები“, ყველაზე ხშირად გაყიდვადი წამლები, ეს არის ქვეყნისთვის ყველაზე მაღალი რისკის დაავადების სამკურნალო პრეპარატები – ჩვენთვის ეს არის ონკოლოგიური და გულსისხლძარღვთა სისტემის და ეს არის ყველაზე ძვირადღირებული მედიკამენტების ლოტი. შეჯამება ფასების დინამიკაზე ხდება ხოლმე ასე კომპლექსურად და არა „ციტრამონი“ ღირდა 40 თეთრი და გახდა 45 თეთრი“,** – აღნიშნა სერგეენკომ და დასძინა, რომ მისი კოლეგების მიერ ზედაპირულ და ტენდენციურ მიდგომას აქვს ადგილი.

მინისტრის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრო მედიკამენტების ფასწარმოქმნის პროცესში არ მონაწილეობს. **„დაგვხვდა სისტემა, სადაც სრულად კერძო სექტორია წარმოდგენილი და ფასებს ბაზარი არეგულირებს“, – დასძინა სერგეენკომ. ამასთან, მინისტრმა საზოგადოებას ინტერფერონის გაიაფებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი წარმატებული პროექტი შეახსენა, როდესაც სახელმწიფო აქტიურობის შედეგად, 60%-იანი ფასის კლება გახდა შესაძლებელი. რამე გამოკვეთილი ტენდენცია, რომ ქართულ საფთიაქო ბაზარზე არის მნიშვნელოვანი, გამოხატული და რამესთან კავშირში მყოფი გაძვირება, ასეთი რამ არ აღინიშნება. უფრო მეტიც, ერთ-ერთ, ძვირადღირებული წამლების ჯგუფში კლება მოხდა და არა მატება“,** – დასძინა დავით სერგეენკომ.

ბექა დანელია

◎ ალიანჩალიანი

სკოლებში საზაფხულო არდადეგების დაწყების თარიღი არ გადაიწევს

ვირუსულ მენინგიტთან დაკავშირებით სკოლებში სწავლის დროებით შეჩერების მიუხედავად, საზაფხულო არდადეგების დაწყების თარიღი არ გადაიწევს და სკოლებში ბოლო გაკვეთილები 13 ივნისს ჩატარდება. როგორც საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, გაცდენილი საათების ანაზღაურება შემჭიდროებულ ვადებში მოხდება.

– რაც შეეხება გაცდენილი საათების ანაზღაურებას და როდის იქნება დაძლეული ეს პროგრამა – სასწავლო წლის ბოლოა და პროგრამის მისედვით მიმდინარეობს განვლილი მასალის შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარება. ყველა ეს სამუშაო ჩატარდება შემჭიდროებულ ვადებში. წინა გაცდენილი ორი დღე შაბათი დღეების ხარჯზე ანაზღაურდება და თუ კიდევ იქნება საჭირო, სასწავლო გეგმაში შევა ცვლილებები და დღის განმავლობაში თითო გაკვეთილი დაემატებათ მოსწავლეებს, – განაცხადა ლია გიგაურმა. ვირუსულ მენინგიტთან დაკავშირებით სკოლებში სწავლა მეორედან მეექვსე კლასის ჩათვლით კვირის ბოლომდეა შეწყვეტილი.

ინტერპრესი

◎ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜ ᲕᲘᲜ ᲛᲝᲒᲪᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲙᲐᲠᲒᲐᲕᲘ“...

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ 31 ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲡ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲨᲘ დაღუპული ქართველების ცხედრის გადმოსვენება მოხერხდა და ამით ბაბუშერას სამარხი პრაქტიკულად დაიხურა. 6 თვეში მოხდება სრული იდენტიფიკაცია და შემდეგ ცხედრები ოჯახებს გადაეცემათ. 27 მაისს გაიხსნება დიღმის ძმათა სასაფლაო, სადაც, სავარაუდოდ, 23 ცხედარი განისვენებს და არ არის გამორიცხული მათ შორის აფხაზ თანამემამულეთა ცხედრებიც იყოს.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დაღუპული ბიჭების სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი სამებაში გადაიხადა. პანაშვიდს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე, დეპუტატი გია ვოლსკი და გარდაცვლილი გმირების ოჯახის წევრები დაესწრნენ.

„მისი უწმინდესობის და უნეტარესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით აღევლინა პანაშვიდი ქართველი გმირების სულის მოსახსენიებლად და მათი სახელები უკვდავყოფილი იქნება. მოხერხდა 31 ცხედრის გადმოსვენება და ამით ბაბუშერას სამარხი დაიხურა“, — განაცხადა დავით დარახველიძემ.

როგორც ცნობილია, ქართული თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად, სოხუმის ბაბუშერას აეროპორტში 1993 წლის 22 სექტემბერს 92 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულებს შორის იყო ამერიკელი ჟურნალისტი ალექსანდრე ტეტვა, რომელიც სამშობლოში ერთი კვირის შემდეგ გადაასვენეს. 23 წლის განმავლობაში, ქართველთა ცხედრების გადმოსვენების პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობდა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შეიქმნა ორმხრივი კომისია. ქართულ მხარეს სათავეში ჩაუდგა დევნილთა მინისტრი, აფხაზეთიდან კი — დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ინდირა ვარდანია. პირველი შეხვედრა 25 იანვარს გაიმართა. ეს ძალიან რთული შეხვედრა იყო, მაგარამ კარგად დამთავრდა, რადგან აფხაზებმა ფორმატის გაფართოება მოითხოვეს და თქვეს, რომ ასეთი მოლაპარაკებები რაც შეიძლება ხშირად უნდა გამართულიყო. მოლაპარაკებებისას მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის შედეგადაც, ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის ჩამოგდებისას დაღუპული 31 ქართველის ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს.

ცხედრების ანთროპოლოგიური ანალიზისთვის, მასალები ზაგრების ექსპერტიზის ბიუროში გაიგზავნება, ოჯახის წევრების დნმ-ის ანალიზს კი, სამხარაულის ეროვნული ბიურო ჩაატარებს. მონაცემების ჩაბარების შემდეგ, ცხედრების იდენტიფიცირება მოხდება და ისინი ოჯახებს გადაეცემა.

2006 წლის შემდეგ აფხაზეთიდან ცხედრების გადმოსვენების პროცესი გაყინული იყო. შარშან, ახალი ხელისუფლების პირობებში მხოლოდ 2 ცხედრის გადმოსვენება მოხერხდა.

დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილის, ნინო ჭავჭავაძის განცხადებით, აფხაზეთში 30-მდე სამარხი არსებობს და მუშაობა გაგრძელდება მანამ, სანამ ყველა უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომარი, თუ სამოქალაქო პირი არ იქნება ნაპოვნი. ოფიციალური ინფორმაციით, 90-იანი წლების ქართულ-აფხაზურ მოვლენებში უგზო-უკვლოდ დაკარგულად 2 ათასზე მეტი ადამიანი ითვლება. 200-მდე დაკარგულს ეძებს აფხაზური მხარე.

დაკარგულთა მოძიება ომის დასრულებისთანავე დაიწყო და ამ დროს ყველაზე აქტიურნი უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მშობლები იყვნენ, რომლებმაც 1993 წელს ფონდი „მოლოდინი“ ჩამოაყალიბეს. 1996 წელს კი, შესაბამისი სახელმწიფო კომისია შეიქმნა. ფონდისა და კომისიის ერთობლივი მუშაობის შედეგად 165 ადამიანის გადმოსვენება მოხერხდა, ხოლო აფხაზურ მხარეს 49 ცხედარი და 87 ცოცხალი ადამიანი გადასცეს. ბოლო გადმოსვენება 2002 წელს განხორციელდა.

რაც შეეხება უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სამარხებს, აფხაზეთის ტერიტორიაზე მსგავსი საფლავები საკმაოდ ბევრია. ეს ადგილებია — სოფელი ლინდავა, „რესპუბლიკური საავადმყოფოს“ მიმდებარე ტერიტორია, დაბა მაჭარკა, ბაბუშერა, დაბა მაჭარკა ე.წ. ცემენტის ქარხნის ტერიტორია, რესტორანი „აფხაზური ეზოს“ მიმდებარე ტერიტორია, სინოპში არსებული დახურული ლაბორატორიის ტერიტორია, ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მთავარი სამარხი კი სოფელ ცუგუროვკაში მდებარეობს, სადაც არა მარტო სამხედრო მოსამსახურეები, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის ცხედრებია დაკრძალული.

ამასთან, როგორც ცნობილია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სამარხი აღმოაჩინეს. სამარხი სოხუმის ცენტრში, „დიდების პარკში“ იქნა ნაპოვნი. სამარხი, სადაც, საერთო ჯამში, 64 ნეშტია აღმოჩენილი, საომარი მოქმედების დროს დაღუპულებს ეკუთვნით.

აფხაზური მედია წერს, რომ სამარხში აღმოჩენილი ნეშტი ქართველებს ეკუთვნით. როდესაც მოხდება ამ გვამების ექსჰუმაცია, მხოლოდ ამის შემდეგ აფხაზურის მხარის მოთხოვნით მოხდება მათი გადასვენება ხორვატიაში, სადაც მოხდება დნმ-ის ანალიზის გაკეთება. ამ პროცედურებს 6 თვე სჭირდება და სწორედ, ამის შემდეგ გახდება ცნობილი ვის ეკუთვნის ეს გვამები.

აფხაზეთიდან ქართველი მებრძოლების გადმოსვენების პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს მადლობას უხდის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

„21 წლის შემდეგ აფხაზეთიდან 31 ქართველი მებრძოლის ცხედარი ჩამოასვენეს. ეს ის მებრძოლები არიან, რომლებიც თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად სოხუმის ბაბუშერას აეროპორტში 1993 წლის 22 სექტემბერს დაიღუპნენ. ამ ტრაგედიას მაშინ 92 ადამიანი ემსხვერპლა.

მართალია, სხვადასხვა დროს ეტაპობრივად ხდებოდა ცხედრების გადმოცემა, თუმცა, ამ დრომდე ვერ ხერხდებოდა ყველა დაღუპულის ჩამოსვენება. მადლობა მინდა, გადავუხადო, ამ პროცესში ჩართულ ყველა ადამიანს. დღევანდელი დღე ნათელი დადასტურებაა, რომ ჩვენი ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, პატივი მივაგოთ ყველას, ვინც თავი შესწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას“, — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

გენერალი გიორგი შერვაშიძე for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე საკმაოდ ბევრი სამარხია, მათ შორის — მშვიდობიანი მოსახლეობის.

მისი თქმით, არსებობდა სპეციალური კომისია, მაგრამ, მერე ეს კომისიაც გაუქმდა. პრაქტიკულად, არავის არ უძებნია, არც აფხაზურ და არც ქართულ მხარეს ინფორმაციებიც არ მოუპოვებიათ ამასთან დაკავშირებით.

„ჭირისუფალმაც არ იცის, სად არის დასაფლავებული მათი ოჯახის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზური მხარე მზად იყო, რომ გადმოგვესვენებინა ცხედრები, სამწუხაროდ, აქეთა მხრიდან ვერ მოხდა ამ საკითხის ორგანიზება, მაგრამ ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პროცესი დაიძვრება. მეტსაც გეტყვით, აფხაზებს ჰქონდათ საუბარი, რომ მთლიანად, აფხაზეთის ტერიტორიაზე დაღუპული აფხაზების შესახებ, შესაძლებელია, რომ ინფორმაცია ჰქონოდა ქართულ მხარეს, ვინაიდან ისინიც ეძებენ ოჯახის წევრებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ძალიან ბევრჯერ გვქონდა ჩვენ ლაპარაკი აფხაზურ მხარესთან“, — აცხადებს გიორგი შერვაშიძე.

მისი თქმით, ქართულ-აფხაზური ურთიერთობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გმირთა საფლავების გახსნას.

„ჩვენი თანამოქალაქეების უგზო-უკლოდ დაკარგული აფხაზების შესახებაც გაგვაჩნია ინფორმაცია. ეს რესურსი უნდა იქნას გამოყენებული. ვიცი რამდენიმე ადამიანი, რომელიც ამაზე მუშაობს. მერხეულში არის ერთი სამარხი, სადაც ოთხი ბიჭი მათი სახელებით და ამოსაცნობი ნიშნებით, ერთ ორმოშია ჩაყრილი, არის თბილისში კაცი, ვინც იცის, სად არის მათი საფლავი.

აფხაზები მზად არიან, რომ ამ საკითხში გვერდში დაგვიდგნენ და ყველანაირად დაგვეხმარონ. ერთი პერიოდი მათ შეწყვიტეს ამ საკითხზე საუბარი. პრეტენზია გაუჩნდათ, რომ ჩვენ კი გაძლევთ თქვენს დაღუპულებს, მაგრამ თქვენც გაქვთ ინფორმაცია ჩვენი დაღუპულების და უგზო-უკვლოდ დაკარგულების შესახებ და მოგვეცით, რომ ჩვენც დავიტიროთ ჩვენი დაღუპულებიო, ეს ხდებოდა 7-8 წლის წინ.

ახლა უკვე შეიცვალა მიდგომა. მზად არიან დასახმარებლად და ამას ბაბუშერას სამარხის გახსნაც ადასტურებს. მთავარია, ერთმანეთს დავეხმაროთ. თუ ინფორმაცია გვაქვს აფხაზების სამარხის შესახებ, მივცეთ მათ ეს ინფორმაცია.

ამასწინათ ჩემთან იყვნენ აფხაზები, ძალიან საინტერესო თემებზე ვისაუბრეთ და მათ შორის ამ საკითხზე, მათ გამოთქვეს სურვილი, რომ ვიმუშაოთ ამ საკითხზე და ყველაფერს გააკეთებენ ამისთვის, რომ არანაირი პრობლემა არ შეგვექმნას ამ მხრივ“, — აღნიშნა გიორგი შერვაშიძემ.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲘᲫᲔ

◎ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ

ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲠᲮᲔᲛᲐᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ეკონომიკის ზრდის ტემპის ოპტიმისტურ განცხადებებს საქართველოს ყველა ფორმაციის ხელისუფლება აკეთებდა, ოღონდ გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა და საამისოდ რამდენიმე წლის თადარიგს იჭერდა. რამდენად ხორციელდება რეალურად ყოველივე და როგორ აისახებოდა ეს აღმაფრენა მოსახლეობის მატერიალურ თუ სოციალურ ყოფაზე, ამას გნებავთ საარსებო მინიმუმის ოფიციალური ზღვარი, დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, პენსიის ოდენობა, საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის პაკეტის ღირებულება, კიდევ მრავალი სხვა პარამეტრი ასახავს, ხალხი კი, რომ იტყვიან „საკუთარ ტყავზე“ გრძნობს.

მიუხედავად ამ არცთუ მხიარული შესავლისა, ბოლო წლებში გარკვეული ძვრები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მაინც საგრძნობია — ეს იქნება საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, მართალია საარსებო მინიმუმზე ნაკლები, მაგრამ მაინც მნიშვნელოვნად გაზრდილი მინიმალური პენსია თუ სხვა, თუმცა, ამჯერად ყურადღებას მხოლოდ ეკონომიკის ყოველწლიური ზრდის ტემპზე გავამახვილებთ.

საქმე ისაა, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპთან დაკავშირებით, ქვეყნის მთავრობისგან განსხვავებით, ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, როგორიცაა მსოფლიო ბანკი აცხადებს, რომ იმ სასიხარულო ტენდენციის შენარჩუნება, რომელიც 2014 წლის პირველ კვარტალში წარმოიშვა, დიდად გაჭირდება. **წლის პირველ სამ თვეში საქართველოს ეკონომიკის ზრდამ დაგეგმილ მაჩვენებელს გადააჭარბა და 7,4 პროცენტი შეადგინა.** ამასთან, აღსანიშნავია, რომ შარშან ეკონომიკის ზრდის წლიურმა ტემპმა მხოლოდ 2,4 პროცენტის ნიშნულს მიაღწია, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2010 წლის შემდეგ. იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკური ზრდის შარშანდელი საპროგნოზი მაჩვენებელი ვერ შესრულდა, ქვეყნის **წლევანდელ ბიუჯეტში ეს ნიშნული 6 პროცენტამდეა აწეული. მსოფლიო ბანკის სპეციალისტების აზრით, ქვეყანა, ეკონომიკური ზრდის ამ ტემპის შენარჩუნება გაუჭირდება.**

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხნის მანძილზე ჩამოყალიბებული ტენდენციების გათვალისწინებით, მთავრობას ეკონომიკური განვითარების ზრდის თაობაზე ოპტიმისტური პროგნოზი აქვს.

— წინასწარი შეფასებით, შარშან მეოთხე კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის განსაკუთრებით მაღალი ტემპით ზრდა აღინიშნებოდა, რამაც პიკს —8,4 პროცენტს — დეკემბერში მიაღწია, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით თბილისში მარტში გამართულ ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ორ მხარეს შორის პერსპექტივები და შესაძლებლობები განიხილეს, საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა.** — 2014 წლისთვის სულ მცირე 5-პროცენტიან ზრდას ველოდებით. ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6,3 პროცენტამდე ასწია.

მაშინ ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ტემპის ზრდის უზრუნველსაყოფად მთავრობა სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობდა, რომელიც შემდგომ „საქართველო 2020“ სათაურით გახდა ცნობილი და რომელშიც სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის პრიორიტეტებია დასახული — კერძოდ, **ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა** და **ტურიზმი.** საერთოდ კი, დასახული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, მთავრობას დაგეგმილი აქვს მთელი რიგი სხვა ღონისძიებების გატარება, მათ შორის კომერციული დავების გადაწყვეტის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით სამართლიანი არბიტრაჟის ჩამოყალიბება, აგრეთვე ფინანსური ბაზრებისა და დაფინანსების ალტერნატიული მექანიზმების განვითარება, რამაც, მისი აზრით, ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ხარისხის გაზრდას.

წლის დასასრულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი, მსოფლიო ბანკის ექსპერტების განცხადებით კი საიმისოდ, რომ უახლოეს ხუთ წელიწადში საქართველომ ეკონომიკური ზრდის 5-პროცენტიანი ტემპი შეინარჩუნოს, მთავრობის უდიდესი ძალისხმევა იქნება საჭირო. მათივე პროგნოზით ახლო მომავალში ქვე-

◎ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ...

„ᲮᲐᲠᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲭᲔᲠᲘᲕᲘᲗ ᲐᲣᲤᲠᲘᲐᲚᲝ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ?..“

ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲮᲐ ᲑᲔᲜᲓᲣᲥᲘᲫᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲠᲩᲔᲕᲡ. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲡᲐ�პᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ �პᲔᲢᲠᲔ �პᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲑᲠᲘᲤᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲐᲓᲐ.

„ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲐᲓ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ. ᲩᲔᲛᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲛ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲝᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ �გᲣᲜᲓᲨᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲘᲙᲐᲕᲐ.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲡᲙᲐᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲡ“ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ �გᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ „ᲣᲓᲐᲠᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ �გᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲩᲙᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘᲐ. ᲛᲔ ᲐᲛ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲣᲑᲠᲘᲐ. ᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲓ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ, ᲛᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲒᲒᲗᲐᲕᲐᲖᲐ თავისი სამსახური, ასევე ველაპარაკე ბენდუქიძეს და დარწმუნებული ვარ, რომ ორივე მათგანი აღმოგვიჩენს დახმარებას, თუ ამის საჭიროება იქნება“, — განაცხადა ვიტალი კლიჩკომ.

ამ თემას გამოეხმაურა საქართველოში უკრაინის ელჩი, ვასილ ციბენკო და აღნიშნა, რომ გასაკვირი არ იქნება, თუ პოროშენკო მიიწვევს სპეციალისტებს საქართველოდან, მაგალითად კახა ბენდუქიძეს.

„მე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცაღა არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ვსწავლობთ საქართველოს გამოცდილებას. მე, როგორც ელჩმა, ამას დიდი ძალისხმევა და დრო მოვანდომე. ეს გამოცდილება ჩვენთვის ფასეულია, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით და სხვა ამოცანების გადაწყვეტის კუთხითაც, მათ შორის, რომელიც ტერიტორიების დროებით ოკუპაციას უკავშირდება.

არაფერი გასაკვირი ამაში არ იქნება, თუ ბატონი პოროშენკო მიიწვევს სპეციალისტებს საქართველოდან. მე ბევრ მათგანს ვიცნობ, ბევრთან მქონდა ურთიერთობა. მაგალითად, ბატონი კახა ბენდუქიძე, ის დიდი რეფორმატორი, პროფესიონალი და უბრალოდ შესანიშნავი ადამიანია. რაც შეეხება სააკაშვილს, ალბათ, ეს ცნობილი გახდება ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციისა და პირველი დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ. ჩვენ დროში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, ყველაფერი შესაძლებელია“, — აცხადებს ელჩი.

უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტის პეტრე პოროშენკოს მრჩევლად საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შესაძლო დანიშვნას უკვე გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. სერგეი ლავროვი ამბობს, რომ მოსკოვი პატივს სცემს უკრაინელი ხალხის ნებას.

„ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის კიევის ხელისუფლებასა და პოროშენკოსთან. თუმცა, მე ნამდვილად არ ვისურვებდი, რომ მისი გაცხადებული მზაობა დიალოგისთვის განპირობებული იყოს რაღაც დათქმებით, რაც გაუღერდა ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მიერ. შუამავლები ჩვენ არ გვჭირდება. მე მივაქციე ყურადღება კლიჩკოს განცხადებას იმის თაობაზე, რომ პოროშენკოს გუნდის ფორმირების პროცესში, განიხილება მასში სააკაშვილის ჩართვის საკითხი. მისი შუამავლობა ჩვენსა და უკრაინას შორის, ნამდვილად არ არის საჭირო“, — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

უკრაინის ხელისუფლებას გამარჯვებას ულოცავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აქვე ურჩევს, რომ მიხეილ სააკაშვილი არ გაიკაროონ.

„ვუსურვებ უკრაინელ ხალხს, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა. ჩემი პირველი მეგობრული რჩევა უკრაინის ახალი პრეზიდენტისადმი იქნება ის, რომ მიხეილ სააკაშვილი არ გაიკაროს“, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლად შესაძლო დანიშვნის ფაქტს გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრი. **„ვფიქრობ, რომ სუვერენული სახელმწიფოს არჩევანია, ვის დანიშნავს საკუთარ მრჩევლად, თუმცა, მე პირადად მიხეილ სააკაშვილს არავის არ ვუსურვებდი მრჩევლად“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გიორგი ვოლსკის განცხადებით, სააკაშვილმა უკრაინელებს, შესაძლოა, რჩევები მისცეს — თუ რა უნდა გააკეთო, რომ სავალალო მდგომარეობამდე მიხვიდე. რაც შეეხება ბენდუქიძეს, ვოლსკის განცხადებით, ბენდუქიძე იმ ეკონომიკური კონცეფციის ავტორია, რომელმაც სერიოზული უარყოფითი დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

„პოლიტიკური თვალსაზრისით ვერ ვიტყოდი, რომ სააკაშვილი ისეთი ფიგურაა, რომელიც შესაძლოა, ან უკრაინას, ან ნებისმიერ სხვა ქვეყანას გამოადგეს. რჩევები შეიძლება მისცეს, თუ რა შეიძლება გააკეთო, რომ სავალალო მდგომარეობამდე მიხვიდე. რაც შეეხება ამ შემთხვევაში როგორი იქნება უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობები, არსებობს ქვეყნის პრაგმატული ინტერესები. უკრაინასთან ყოველთვის ვთანამშრომლობდით და ასე გადაწყვეტილადაც, მგონი, არ ღირს ვილაპარაკოთ, რომ სააკაშვილი მრჩეველი იქნება“, — ამბობს ვოლსკი.

კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით ბაქრაძე და აქვე დასძენს: ის, რომ უკრაინის ახალ პრეზიდენტს ქართველი მრჩეველი ეყოლება, თავად უკრაინულმა მხარემ დაადასტურა.

„ვფიქრობ, ეს საქართველოსთვის კარგია და კიდევ ერთი აღიარებაა იმ რეფორმების, რომელიც წინა ხელისუფლებამ ქვეყანაში გაატარა. სწორედ ამას ვთავაზობთ ჩვენს ხალხს და ქვეყანას — გავაგრძელოთ რეფორმები, ცვლილებები და ავამუშაოთ საქართველო“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

უკრაინის ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის და კახა ბენდუქიძის სავარაუდო დასაქმებას, ახალი ხელისუფლების შეცდომად აფასებენ ქართველი ექსპერტები, რომელთა განცხადებით „სამართლიანობის აღდგენის ფონზე მოსული ხელისუფლებისთვის წამგებიანი იქნება ისეთი ადამიანის ხელისუფლებაში მოყვანა, როგორიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ეკონომიკის ყოფილი მინისტრია“.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნების დღესვე დატოვა. მის წინააღმდეგ საქართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სააკაშვილის სახელს უკავშირდება ძალადობა, ადამიანის უფლებების დარღვევა, კორუფცია, მკვლელობა. პარალელურად, საქართველოს მთავრი პროკურატურა კახა ბენდუქიძის საქმიანობასაც სწავლობს, ბენდუქიძე პროკურატუმ უკვე დაკითხა.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე დარწმუნებული არ არის, რომ უკრაინის ახალი პრეზიდენტის განცხადება ბოლომდე გატარდება, რადგან მიხეილ სააკაშვილი გამოჩენისთანავე იქნება კონფლიქტის პირველი წყარო.

„ნურც ამ ტიპის გადაწყვეტილება გაგვიკვირდება. ადამიანები გადაწყვეტილებას არც თუ ისე რაციონალური საფუძვლებით იღებენ, უფრო თავიანთი ემოციებით ხელმძღვანელობენ და მერე იწყება დაფიქრება შედეგებზე. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ ნურც შეცდომა და ნურც ის, რომ ეს შეიძლება ჭორი აღმოჩნდეს. უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლები ამ სურვილს, თუ დაუფიქრდებიან, ალბათ, შეცვლიან“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე შორს არის იმ აზრისგან, რომ სააკაშვილი შეიძლება შუამავალი იყოს რუსეთთან ან რომელიმე ქვეყანასთან, რადგან, მისი თქმით, ეს ყოველგვარ საღ აზრს სცდება.

მისი თქმით, თუ დასავლეთის და აშშ-ის კონსერვატიულ ფრთას უნდა, რომ სააკაშვილის პირით რამე ურჩიოს უკრაინას, ეს ყოველგვარი სტატუსის გარეშეც შესაძლებელია.

„ამიტომ, ხარს წითელი ნაჭერივით აუფრიალო სააკაშვილი, არ ვიცი, რამდენად გონივრული გადაწყვეტილებაა. გინდა-არ გინდა, უკრაინას რუსეთისგან სჭირდება ლეგიტიმურობის აღიარება, დიალოგში უნდა შევიდნენ. ეს არაა ის სიტუაცია, როდესაც უკრაინას რუსეთთან გაბუტვა რაიმეს არგებს. საუბარი არაა იმაზე, რომ რაიამე დათმოს უკრაინამ რუსეთთან მიმართებაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა დიალოგის ფორმატში უნდა გადავიდეს და ამას ცდილობს მთელი ევროპა და ამერიკა.

რამდენად წაადგება დიალოგის ფორმატს სააკაშვილის პერსონა, რთული საკითხია. ეს მუდმივად იქნება რუსეთისთვის იმის ნიშანი, რომ ეს უკრაინა მისთვის მუდმივი საფრთხის წყაროა, ისევე როგორც სააკაშვილის დროინდელი საქართველო. უკრაინაში კონფრონტაციული ფონის შექმნა არავის აწყობს, მით უმეტეს — დასავლეთს, სადაც ევროპარლამენტის არჩევნებმა აჩვენა, რომ საკმაოდ სერიოზული ძვრები ხდება“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას ხათუნა ლაგაზიძემ.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

◎ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲐ

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲐ

ყანაში უმუშევართა რიცხვი კი არ შემცირდება, პირიქით, გაიზრდება. **საერთაშორისო ექსპერტთა აზრით, უახლოეს წლებში 7,5-8-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება არარეალურია, უკეთეს შემთხვევაში იგი 5,0-5,5 პროცენტის ფარგლებში იქნება, თუმცა კი, ამ დონემდე მისაღწევად ძალიან გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა და დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.** ეროვნული ეკონომიკის სადღეისო კრიზისული მდგომარეობის მიზეზად ექსპერტები 2008 წლის რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომს ასახელებენ და დასძენენ, რომ ომის წინა პერიოდის განვითარების დონე ჯერაც მიღწეული არ არის.

„რაც შეეხება უმუშევრობას, ეკონომიკის ზრდა და დასაქმება ერთმანეთთან უშუალოდ პირდაპირ კავშირში არ არის: მაკროეკონომიკური ვითარება, შესაძლოა, იმედის მომცემი იყოს, მაგრამ არ უნდა გვეგონოს, რომ ამის შესაბამისად დასაქმებაც გაიზრდება. ამის მისაღწევად ხელისუფლებას კიდევ სხვა ბევრი აქვს გასაკეთებელი“, — აცხადებენ მსოფლიო ბანკის ექსპერტები. მათი აზრით, ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპისა და უმუშევრობის მაღალი დონის რამდენიმე მიზეზი არსებობს. მათ შორის, კერძოდ, უწინარესად, აღსანიშნავია **ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური გარემო; რიგით მეორეა კომპანიების ფინანსურ რესურსებზე ძალიან შეზღუდული ხელმისაწვდომობა; მესამეა პროფესიული განათლების დაბალი დონე, რის გამოც ბიზნესი კვალიფიციური კადრებით სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არის. განსაკუთრებული ყურადღებაა მისაქცევი სოფლის მეურნეობისთვის: მართალია აგროსექტორის წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში ამჟამად სავალალოდ მცირეა, მაგრამ, სათანადო მიდგომის პირობებში, მას ზრდის ძალიან დიდი პოტენციალი აქვს. ეს კი, თავის მხრივ, ასევე საშუალო და წვრილი ბიზნესის წინსვლის კარგ პერსპექტივებს გააჩენს. სამწუხაროდ, საქართველო, როგორც ოდითგანვე ტრადიციული აგრარული ქვეყანა იყო, ამ მაჩვენებლით ძალიან ჩამორჩება მისი დარი ეკონომიკების მქონე ქვეყნებს. უმუშევრობის დონის შემცირების ყველაზე პერსპექტიული გზა კი სწორედ საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებაზე გადის.**

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებში მწვავე კრიზისმა საქართველოს წლევანდელი ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუარესება გამოიწვია. კერძოდ, **ექსპერტები მას 4-პროცენტიან ნიშნულზე ვარაუდობენ, რაც მათივე იანვრის პროგნოზზე 0,5 პროცენტით ნაკლებია.** საქმე ისაა, რომ შარშან უკრაინა საქართველოსთვის სიდიდით მესამე საგარეო სავაჭრო პარტნიორი იყო, ხოლო იქ შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ 2014 წლის პირველ თვეებში ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობებზე მეტად უარყოფითად იმოქმედა. მაგალითად, მარტში, თებერვალთან შედარებით, უკრაინაში საქართველოდან პროდუქციის ექსპორტის მოცულობა დაახლოებით 55 პროცენტით შემცირდა, ხოლო უკრაინიდან პროდუქციის ექსპორტი, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მარტში 25,5 პროცენტით ნაკლები იყო. ამასთან, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის მაჩვენებლები აპრილ-მაისშიც კვლავ კლებას განაგრძობს. მდგომარეობის გამოსწორებას ქართული საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიცირებამ უნდა შეუწყოს ხელი და, ამ თვალსაზრისითაც, ევროკავშირთან ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ ძალიან დიდი როლი უნდა შეასრულოს.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრობის მიერ ცოტა ხნის წინათ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020“-ში პრობლემის განსხვავებული ხედვაა ჩამოყალიბებული: ყოველწლიური 5-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის პირობებში ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულების 5,8 ათასიდან 13 ათას ლარამდე გაზრდა შეუძლებელი იქნება, მაშასადამე, იგი ამ ნიშნულზე გაცილებით მაღალი უნდა იყოს. ამდენად, ამ ორ პოზიციას შორის მეტად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი განსხვავებაა. თუ რომელია სინამდვილესთან უფრო მიახლოებული ამას, ცხადია, დრო გვაჩვენებს, მანამდე კი მთავრობას, წინასაარჩევნოდ მოსახლეობისთვის მიცემული პირობის შესასრულებლად, მკლავებდაკაპიწებული მუშაობა მოუწევს.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სააკაშვილის გუნდის წევრები უკრაინის ახალ ხელისუფლებას კონსულტაციებს გაუწევენ

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა პიოტრ პოროშჩენკომ დაადასტურა, რომ მისი ერთ-ერთი მრჩეველი საქართველოს მოქალაქე იქნება

უკრაინაში საქართველოს ყოფილი ელჩი გრიგოლ ქათამაძე გახდება უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტის პიოტრ პოროშჩენკოს ერთ-ერთი მრჩეველი. ამის შესახებ იტყობინებოდნენ საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პოროშენკოს გარემოცვის წყაროებზე დაყრდნობით. თუ ინფორმაცია საქართველოს ყოფილი ელჩის შესახებ დადასტურდება, ქათამაძე, რომელიც პოროშენკოს თანაკურსელი იყო, წარდგენილი იქნება პრეზიდენტის მრჩევლის პოსტზე ინაუგურაციის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც თავად პოროშჩენკომ განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი მრჩეველი საქართველოს მოქალაქე იქნება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა სხვადასხვა ვარაუდი ამასთან დაკავშირებით — დასახელებული იყო ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, აგრეთვე საქართველოს ყოფილი ექსმინისტრისა და ეკონომიკური რეფორმების კოორდინაციის ყოფილი სახელმწიფო მინისტრის, ბიზნესმენ კახა ბენდუქიძის კანდიდატურები. ასევე ცნობილი გახდა, რომ ბენდუქიძე შედის უკრაინის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოში.

შეგახსენებთ, რომ, საერთაშორისო ბანკის მოხსენების თანახმად, ბენდუქიძის დროს (2004-2007 წლები) საქართველომ განახორციელა ყველაზე მეტი ოდენობის რეფორმები და გახდა ყველაზე რეფორმირებული ქვეყანა მსოფლიოში — ამდენად, ამ პერიოდში ქვეყანა 137-დან მე-11 ადგილამდე აღზევდა ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეიტინგით ქვეყნებს შორის.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად, ასეთ რეიტინგში საქართველოს უკვე მერვე ადგილი უკავია.

როგორც კახა ბენდუქიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, უკრაინის ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, რომლის წევრიც იგია, შეიქმნა კანადის მთავრობის დახმარებით. ბენდუქიძის თანახმად, საბჭოს წარმომადგენლები „დახმარებას გაუწევენ უკრაინის მთავრობას და შეეცდებიან განუმარტონ უკრაინელ ხალხს განსახორციელებელი რეფორმების არსი“.

„დღეს უკრაინაში წყდება არა მხოლოდ საქართველოს ბედი, არამედ ახალი მსოფლიოს მოწყობის ბედიც“, — განაცხადა ბენდუქიძემ 24 მაისს.

საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კახა ბენდუქიძემ, რომელიც ასევე საქართველოს ორი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებელია, განაცხადა დევნის შესახებ ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან. კერძოდ, ექსმინისტრმა „პოლიტიკური მოტივებით“ განმარტა აგრარული უნივერსიტეტის წინაშე წამოჭრილი პრობლემები. ხელისუფლება უარყოფდა ამ ბრალდებას და აცხადებდა, რომ წამოჭრილი პრობლემების მიზეზი იყო მთელი რიგი დარღვევები, რომელიც გამოვლინდა უნივერსიტეტის შემოწმების დროს, რომელიც განახორციელა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა.

შეგახსენებთ, რომ იანუკოვიჩის მთავრობის შეცვლის შემდეგ უკრაინის ახალი ხელისუფლება არაერთგზის აცხადებდა იმის შესახებ, რომ კიევს განზრახული აქვს გამოიყენოს საქართველოს გამოცდილება კორუფციასთან ბრძოლასა და ეკონომიკის განვითარებაში. ამ მისიით უკრაინაში რეგულარულად ჩადიან თავად საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აგრეთვე მისი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები.

„აუცილებელი ზომა“

საქართველოს პარლამენტის წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ზურაბ ჯაფარიძემ „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ კომენტარებში აღნიშნა, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია საქართველოს გამოცდილებით რეფორმების განხორციელების საქმეში, ვინაიდან ამ მომენტში უკრაინის ეკონომიკა სტაგნაციაშია, რაც გარკვეულწილად ჰგავს იმ მდგომარეობას, რომელშიც იყო საქართველო ათი წლის წინათ.

ქართველი პოლიტიკოსის სიტყვებით, სააკაშვილის მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმები, საერთაშორისო აღიარების გარდა, ასევე თანდათანობით ღებულობს მაღალ შეფასებას საქართველოში მმართველი კოალიციის მხრიდანაც, რომელიც მოსვლამდე და მალე მოსვლის შემდეგაც „აუფასურებდა“ თავისი ოპონენტების წარმატებებს.

„სასიამოვნოა, როცა გესმის, რომ უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლებამ, მათ შორის, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და იუსტიციის მინისტრმა, შეცვალეს თავიანთი თავდაპირველი რიტორიკა და აღიარეს პროგრესი, რასაც წინა ხელისუფლებამ მიაღწია მთელი რიგი რეფორმების განხორციელებაში“, — აღნიშნა ქართველმა ოპოზიციონერმა.

ჯაფარიძის თანახმად, რუსეთისგან დამოკიდებულება ამ მომენტში „სერიოზული პრობლემაა“ უკრაინის ეკონომიკისთვისაც. მისი სიტყვებით, აუცილებელია ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ბუნებრივი გაზის ღირებულების სუბსიდირების გაუქმება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასევე აუცილებელია შემცირდეს სახელმწიფო ბიუროკრატია, რაც, როგორც ქართველი პარლამენტარი ამტკიცებს, ხელს შეუწყობს კორუფციის აღმოფხვრას.

ზურაბ ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები, კერძოდ, ქართული რეფორმების ავტორები, უკვე ნახევარი წლის განმავლობაში კონსულტაციას უწევენ კიევს ამ საკითხებზე, და რომ გადაწყვეტილება — შეიყვანონ ქართველი რეფორმატორები ოფიციალურ სტრუქტურაში უკრაინის მთავრობასთან — ხელს შეუწყობს ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაციას.

ამავე დროს, გვაფრთხილებს დეპუტატი, შეიძლება ველოდოთ, რომ, ისევე როგორც თავის დროზე საქართველოში, შემოთავაზებული რეფორმები გამოიწვევს უკრაინის საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას, ვინაიდან ის ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ არსებული „დამღუპველი მდგომარეობით“ უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებში, დაკარგავენ თავიანთ გავლენას. ჯაფარიძის თანახმად, რეფორმები გულისხმობს გარკვეულ ძვრებს, რომლებიც შეიძლება მტკივნეული აღმოჩნდეს ასევე მათთვისაც, ვინც ბიუროკრატიული სისტემის ნაწილია, ვინაიდან ჩნდება სახელმწიფო სტრუქტურებში სამუშაო ადგილების შემცირების აუცილებლობა. მაგრამ, ამბობს ქართველი დეპუტატი, ეს არის ერთადერთი ზომა, რომელიც დაგვეხმარება, რომ ადგილიდან დაიძრას და აღორძინდეს უკრაინის ეკონომიკა.

„მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს უკრაინა მიაღწიოს პროგრესს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ასევე აუცილებელია იმისთვის, რომ გათავისუფლდეს რუსეთის გავლენისგან, რომელიც, სამწუხაროდ, იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს უკრაინის საგარეოპოლიტიკურ საქმეებში ჩარევისთვის“, — ხაზგასმით აღნიშნა ზურაბ ჯაფარიძემ ჩვენთან ინტერვიუში.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ლუგანსკის ოლქში შეიარაღებული ხალხი რუსეთიდან საბვირთო ავტომანქანებით ცდილობდნენ შეჭრას, ნაწილობრივ მათ ეს შეძლეს, ამტკიცებენ უკრაინაში

ქვეყნის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის მონაცემებით, 27 მაისის ღამით უცნობი ადამიანები მანქანებით, რომლებიც სავსე იყო იარაღით, შეეცადნენ გადაეჭრათ უკრაინის საზღვარი სანქციის გარეშე. მესაზღვრეებთან ბრძოლის შემდეგ ავტომობილების ნაწილმა მაინც შეძლო ლუგანსკის ოლქის სიღრმეში შესვლა.

ვიტალი კლიჩკო კიევის მერის არჩევნებში ლიდერობს

27 მაისის დილის 9 საათისთვის დამუშავებული იყო კიევის მერის არჩევნების ბიულეტენების 40 პროცენტი. 55,2 პროცენტით ლიდერობს ვიტალი კლიჩკო. პარტია „უდარი“, რომელსაც იგი უდგას სათავეში, კიევის საქალაქო საბჭოს არჩევნებზე, შუალედური მონაცემებით, აგროვებს ხმების დაახლოებით 40 პროცენტს.

უკრაინა იწყებს დსთ-დან გამოსვლის ფორმალურ პროცესს

ეს გადაწყვეტილება განიხილეს 26 მაისს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე. ადრე უკრაინა აცხადებდა თავისი წარმომადგენლობის შეწყვეტის შესახებ დსთ-ში იმასთან დაკავშირებით, რომ თანამეგობრობა არ აწესრიგებს კონფლიქტებს მონაწილე ქვეყნებს შორის და იქცა იგი ინსტრუმენტად ცალკეული წევრების, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციის, ინტერესების რეალიზაციისთვის.

აკვატორიაში, რომლისთვისაც ვიეტნამი და ჩინეთი იბრძვიან, ერთმანეთს დაეჯახნენ ორი სახელმწიფოს ხომალდები - ჩაიძირა ვიეტნამის ტრაილერი

ვიეტნამის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ჩინური ხომალდი განზრახ დაეჯახა ვიეტნამის გემს. პასუხად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაოცებულია, რატომ აგზავნის ვიეტნამი საერთოდ გემებს იმ რაიონში, სადაც აშენებენ ნავთობის პლატფორმას. ადრე ჩინეთში მიიღეს გადაწყვეტილება დაიწყონ ნავთობის კოშკის მშენებლობა სადავო ტერიტორიის მახლობლად, რამაც მეორე მხარის შეშფოთება და სისხლიანი ანტიჩინური დარბევები გამოიწვია.

„მუნვე გელათის დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა...“

სად უნდა ვეძებოთ მეფე თამარის უკანასკნელი განსასვენებელი?

ინტერვიუ არქეოლოგ-კავკასიოლოგ, პროფესორ გივი ღამბაშიძესთან.

— ბატონო გივი, თქვენ რამდენიმე ათეული წელია, იკვლევთ ქართული კულტურის ძეგლებს იმიერკავკასიაში და საქართველო-იმიერკავკასიის ხალხთა ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ვარაუდი თამარ მეფის საფლავის ინგუშეთში არსებობის შესახებ, რომელსაც ინგუშური და შემდეგ ქართული მხარე ავრცელებენ?

— რუსეთის საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „РИА НОВОСТИ“-ის ჟურნალისტმა **ადამ ბურაჟევმა** ინგუშეთის არქეოლოგიური ცენტრის დირექტორის მოადგილის **უმალატ გადიევის** ინფორმაციის საფუძველზე გაავრცელა სენსაციური ამბავი იმის შესახებ, რომ ინგუშეთში, მდ. ასას ხეობაში, საგზაო სამუშაოების დროს, მიწის ჩამოშლისას, ავტოსაგზაო სამსახურის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს გამოქვაბული (სხვაგან აკლდამაა მითითებული — „Склеповое захоронение“), სადაც შესაძლოა, ინახებოდეს ალანეთის სახელმწიფოს დედაქალაქის — მაგასის საგანძური, ან იყოს ქართველი დედოფლის თამარის სამარხი. უ. გადიევის სიტყვებით, გაწმენდისას გამოჩნდა თლილი ქვით ნაგები შესასვლელი. ასეთი გამოქვაბულები მთიან ინგუშეთში ადრეცაა აღმოჩენილი და ისინი XI-XIV სს თარიღდებიან. ჟურნალისტს მოყავს მეცნიერის სიტყვები, რომ ეს მოსაზრებები მხოლოდ ცნობილ თქმულებას ემყარება, თუმცა, ძნელია იმაზე საუბარი, რამდენად რეალურია, რადგან სერიოზული კვლევა ადგილზე ჯერ არ ჩატარებულა. აღვნიშნავ, რომ მოცემული ინფორმაცია მთლად ნათელი არაა და გამოთქმული მოსაზრებები მეცნიერისაა თუ ჟურნალისტის მიერ არის ინტერპრეტირებული, გაუგებარია...

ამ ინფორმაციას შემდეგ დაემატა „კვირის პალიტრის“ (23.05.2014) კორესპონდენტის **ლალი პაპასკირის** უმალატ გადიევთან ინტერვიუ. ინტერვიუში უ. გადიევი საუბრობს თავისი ვარაუდის საფუძვლებზე: ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციის კვალზე გამოვლენილ ძეგლზე, რელიეფურ გამოსახულებებზე, ორნამენტებზე, ქართული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტებსა და ძველ ინგუშურ თქმულებაზე თამარის მდ. ასას ხეობაში დასაფლავების შესახებ... „თუმცა, — დასძენს უ. გადიევი — არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევების დაწყებამდე რაიმეზე გადაჭრით და დადასტურებულად საუბარი ძნელია... ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ ვერსიაა, რომელსაც ძირეული და კვალიფიციური შესწავლა სჭირდება“.

„РИА НОВОСТИ“-ის ამ ინფორმაციამ ინგუშეთსა და საქართველოში საზოგადოებრივი ინტერესი აღძრა. ძეგლის აღმოჩენის ადგილი ინგუშეთის პრეზიდენტმა მოინახულა, ხოლო ქართულმა მასმედიამ მას სათანადო ყურადღება დაუთმო... 24 და 25 მაისს ჩვენ ტელეფონით ვესაუბრეთ ახალგაზრდა კოლეგას ბატონ უმალატ გადიევს, რომელთანაც რამდენიმეწლიანი ნაცნობობა მაკავშირებს. გვყავდა თბილისში მოწვეული, კავკასიის არქეოლოგთა, ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა საერთაშორისო კონფერენციაშიც მიუღია მონაწილეობა. ბატონმა უმალატმა დაადასტურა, რომ საქმე გვაქვს მიწისქვეშა აკლდამასთან, არტეფაქტებიდან კი აღნიშნა: დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის წახნაგოვანი ქვის სვეტის აღმოჩენა, რომლის ერთ მხარეზე რელიეფურად ჯვარი ყოფილა გამოსახული და ტყავის ფეხსაცმელი (რომელიც მას არ უნახავს); რაც შეეხება ქართულ წარწერებს, ისინი არაა ამ აკლდამიდან, არამედ მისი კვალი შეინიშნება ძეგლიდან 150-იოდე მეტრით დაშორებულ ცნობილ თარგემის ეკლესიის შელესილობაზე (ფრესკის წარწერა უნდა იყოს) და შორიახლოს, ახლადაღმოჩენილი ეკლესიის ნანგრევებშიც.

— ბატონო გივი, გთხოვთ, მოკლედ ბრძანოთ რა ისტორიული წყაროები არსებობს ჩვენი სასიქადულო მეფის, წმიდა თამარის განსასვენებელთან დაკავშირებით?

— პირველ ყოვლისა, აღვნიშნავთ „ქართლის ცხოვრებისეულ“ სამ წყაროს. ორი — მეფე თამარის დროინდელი ისტორიკოსისაა, მესამე კი მისი ძის, ლაშა-გიორგის ისტორიკოსისა.

აი, ისინი:

„...და მიიცვალა მეფე თამარ... და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“ (ქ.ც. II 1959, 112/18-19; 113/7-8);

„...მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“ (ქ.ც.II, 1959, 146/11-12);

„დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს“ (ქ.ც. 2008, 355).

ფრიად საყურადღებოა ფრანგი ჯვაროსანი რაინდის **გ. დე ბუას** მიერ არქიეპისკოპოს ამადეა დე ტრემლესათვის გაგზავნილი წერილი, რომლითაც ცხადდება ლაშა-გიორგის მიერ დედის ნეშტის წმიდა ქალაქ იერუსალიმში გადასვენება.

აი, ის:

„... ამ ახალგაზრდას (ლაშა-გიორგის) მიაქვს დედამისის — უძლიერესი დედოფლის თამარის ძვლები, ვინაიდან (თამარს) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა იერუსალიმში წასულიყო და მისი ძვლები უფლის საფლავის ახლოს დაეკრძალა...“

ამაზე მეტყველებენ სხვა ისტორიული ფაქტებიც. მაგალითად, ქართველ ბერს, რომელსაც კარდინალ პელაგიუსისათვის გადაუცია ლაშა-გიორგის წერილი, იქვე მოუხსენებია მეფის განზრახვის შესახებ დედის ნეშტის იერუსალიმში გადასვენებასთან დაკავშირებით. ხოლო ავგუსტინელი ბერი **ჟაკ დე ვიტრის** გადმოცემით პელაგიუსს მოუწონებია ლაშა-გიორგის განზრახვა...

ასევე, აღსანიშნავია ვატიკანის ფონდებში **მიქაელ თარხნიშვილის** აღმოჩენილი უცნობი ჯვაროსნის საბუთი, სადაც მოთხრობილია მონგოლთა შემოსევების წინ იერუსალიმში თამარ მეფის ცხედრისა და სამეფო სახლის განძეულობის წაღებისა და თამარის იერუსალიმის ქართველთა მონასტერში დაკრძალვის შესახებ...

„წმიდა მიწაზე“ თამარ მეფის ნეშტის გადასვენებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ბერძენი არქეოლოგის **ათანასიოს იკონომოპულოსის** მიერ იერუსალიმის წმიდა ჯვრის მონასტერში გათხრილ სამარხში ორი მანდილოსნის ნეშტის აღმოჩენა, რომლიდანაც ერთ-ერთი მას თამარ მეფისად მიუჩნევია... თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ვარაუდი მრავალ პროფესიულ კითხვას ბადებს, რაზედაც მის მიერ გამოქვეყნებული არქეოლოგიური გათხრების წინასწარი ანგარიში სრულად ვერ სცემს პასუხს და აუცილებელია ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების სრული ანგარიშის მოძიება-გაცნობა.

თამარ მეფის საფლავს კვიპროსზე, ღალიის მონასტერშიც ეძებდნენ, თუმც უშედეგოდ...

ყოველივე ამას ემატება ქართული ლეგენდები და საქართველოს ძნელბედობითი ეპოქებით წარმოქმნილი ხალხური თქმულებები: თამარ მეფის ზეცად ამაღლებაზე, მისი დაკრძალვის შესახებ ვარძიაში, თმოგვში, მცხეთაში, უშგულში, რაჭაში, ტაო-კლარჯეთში, მდ. რიონისა და მდ. არაგვის ფსკერზე და ა.შ.

ინგუშურ თქმულებას, რაზეც „РИА НОВОСТИ“ მიუთითებს, მე პირადად არ ვიცნობ — ვაინახური ეპოსების გამოცემებში მას არ შევხვედრივარ... ვფიქრობ, იგი ზემოთ ჩამოთვლილ ქართულ ხალხურ თქმულებათა სადარია...

— თქვენ პირადად სად გეგულებათ მეფე თამარის უკანასკნელი განსასვენებელი?

— საჭიროა კვლევა-ძიების გაგრძელება გელათში და წმიდა მიწაზეც...

აქვე აღვნიშნავ, ამ საკითხზე დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. სულ ბოლო გამოცემას აღვნიშვნავ — პროფ. **ელდარ მამისთვალიშვილის** საყურადღებო მონოგრაფიას „იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი — თამარ მეფის სამუდამო განსასვენებელი?“ თბ. 2014.

დასასრულს ვიტყვი, საქართველოს ისტორიულ პირთა დაკარგული საფლავების მეცნიერული ძიებისას, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე (ქართველ მეფეთა: არჩილ II-ის, ვახტანგ VI-ის, თემურაზ II-ის, ვახუშტი ბატონიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის სამარხთა ძიება ქ. მოსკოვსა და ქ. ასტრახანში), აუცილებელია: ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ფოლკლორული (არსებობის შემთხვევაში), არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და ახლა უკვე, დეენემ-ის მონაცემთა ურთიერთშეჯერება და მხოლოდ მათი თანხვედრის შემთხვევაში აქვს მკვლევარს უფლება გამოაქვეყნოს მეცნიერული აკადემიური დასკვნა.

— მაშ რა აძლევს ინგუშურ მხარეს ასეთი სენსაციური ვარაუდის საფუძველს?

— მათ შესახებ მე ზევით უკვე ვისაუბრე და ახლა აღვნიშნავ ისტორიულ ფონსაც.

კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის შესახებ XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველისეული ეთნოგენეტიკური კონცეფციის შესახებ რომ არ ვისაუბროთ, შუასაუკუნეების გარკვეულ პერიოდში (X-XIV სს.), კავკასიის გამაერთიანებელი მეფის - ბაგრატ III-ის ეპოქიდან თემურ-ლენგის გამანადგურებელ შემოსევებამდე, საქართველომ და იმიერკავკასიელმა ხალხებმა იცხოვრეს ერთ სახელმწიფოებრივ, რელიგიურ-კონფესიურ და კულტურულ სივრცეში. ეს ურთიერთობები უმჭიდროესი და ორივე მხარისათვის პოზიტიური ისტორიული მოვლენა იყო...

ასევეა ინგუშეთშიც. საკუთრივ თარგემის (შეადარეთ კავკასიის ხალხთა საერთო წინაპრის — ბიბლიური ნოეს შთამომავლის თარგამოსის სახელს), მდინარე ასას ხეობაში, რომელიც მიჩნეულია ინგუშთა (ჩვენი ისტორიული წყაროების მიხედვით, დურძუკთა) კულტურის აკვნად, გვხვდება ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები: ტყობია-იერდას სამეკლესიანი ბაზილიკა — ბრწყინვალე ორნამენტაციით, რელიეფებით, ბარელიეფით, გიორგი ეპისკოპოსის (X ს.), არსენ II კათალიკოსის (955-980 წწ.) და „აღმოსავლეთის პატრიარქის“ მელქისედეკ I-ის (XI ს.), წარწერებით, მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტებით (ეს ძეგლი არქეოლოგიურად 1969-70 წწ. შევისწავლეთ); თავის დროზე კედლის მხატვრობით შემკობილი ალბი-იერდასა და თარგემის „დარბაზული“ ეკლესიები, ინგუშეთიდან მომდინარე ქართული ფსალმუნები, ადგილობრივ კერამიკაზე არსებული ქართული წარწერები და ა.შ. აქვე ისიც გავიხსენოთ, როგორც ამას „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, ფარნავაზ მეფის (ძვ. წ. IV-III სს.) მეუღლე წარმოშობით დურძუკი იყო...

არ გადავამეტებ თუ ვიტყვი, რომ თამარ მეფე არა მარტო ქართველთა უდიდესი მეფე, არამედ მთელი კავკასიის მეფეც იყო...

და, ეს ისტორიული ურთიერთობები კავკასიელთა საგმირო ეპოსებში, თქმულებებსა და ტოპონიმიკაშია ასახული...

— როგორი იქნება ქართული მხარის დამოკიდებულება, ჩაერთვებით ქართველი არქეოლოგები ძეგლის შესწავლაში?

— ჩვენ ათეულწლობით ჩამოყალიბებული მჭიდრო სამეცნიერო, კოლეგიალური და პიროვნული ურთიერთობები გვაქვს ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო წრეებთან და, მათ შორის ინგუშეთის კულტურის სამინისტროსთან, მეცნიერებთან და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან. დაველოდოთ კვლევა-ძიების განგრძობასა და ახალ ინფორმაციებს.

რასაკვირველია, ფრიად გაგვიახარებს მნიშვნელოვანი ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები...

საქართველოს საგარეო საქმეთა და კულტურის უწყებები ბუნებრივია, აქტიურად უნდა ჩაერთონ მსგავს კვლევებში მოვლენათა განვითარების სადარად.

ესაუბრა
თეა მოსია.

◎ წინ, საქართველო!

ამ ბიჭებით უნდა ვიამაყოთ!

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2014-ის ელიტ-რაუნდი შესანიშნავად დაიწყო: ვასილ მაისურაძის გაწვრთნილმა გუნდმა ტურნირის მასპინძელი და ერთ-ერთი ფავორიტი შვეიცარია 2:0 დაამარცხა!

ქართველმა ფეხბურთელებმა გოლები ორივე ტაიმში გაიტანეს: 21-ე წუთზე გიორგი თევზაძის პასით დავით დარციმელიამ გახსნა ანგარიში, 86-ე წუთზე კი გიორგი პაპუნაშვილმა შესანიშნავად ითამაშა და უპირატესობა გააორმაგა. საგულისხმოა, რომ 79-ე წუთიდან შვეიცარიელები ათი ფეხბურთელით თამაშობდნენ: მსაჯმა მეკარე პასკალ ალბრეხტი გააძევა და რადგან იმ დროისთვის მასპინძლებს ფეხბურთელის შეცვლის უფლება აღარ ჰქონდათ, თამაშის დასრულებამდე კარს ნახევარმცველი გრეგორ კარლენი იცავდა. შესაბამისად, მეორე გოლი პაპუნაშვილმა სწორედ მას გაუტანა.

ორი გოლის გარდა, მაისურაძის გუნდს კიდევ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს, რამდენჯერმე კი ალბრეხტმა ითამაშა შესანიშნავად. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნაკრების მეკარემ ბექა ქურდაძემ ორჯერ ბრწყინვალედ ითამაშა და კარი გოლისგან იხსნა.

ისრაელი — კვიპროსი 4:0.

გიორგი შოთაძე

◎ ფეხბურთი

ასე ნანატრი მეათე ტრიუმფი

მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონთა თასი მეათედ მოიგო. მან თანაქალაქელები „ატლეტიკო“ 4:1 დაამარცხა.

ანგარიში 36-ე წუთზე გაიხსნა. გაბის კუთხურის შემდეგ კასილიასის შეცდომით გოდინმა ისარგებლა და ანგარიში გაიხსნა. 93-ე წუთზე მოდრიჩის ჩაწოდებას სერხიო რამოსის თავური დარტყმა მოყვა და ანგარიში გათანაბრდა.

დამატებითი ტაიმების პირველი ნახევარი უშედეგოდ დასრულდა, ხოლო მეორე ტაიმის მე-5 წუთზე გოლი ბეილმა გაიტანა.

118-ე წუთზე მარსელომ ანგარიში 3:1-მდე გაზარდა, 120-ე წუთზე კი კრიშტიანუ რონალდუმ თერთმეტმეტრიანი დარტყმით ანგარიში გაზარდა და მატჩი 4:1 დასრულდა.

კობა კობახიძე

◎ რაგბი

„ლელო“ საქართველოს ჩემპიონია

„ლელომ“ შერკინებაში ჯობნითა და ქიქერის სნაიპერობით ჩემპიონატის დიდ ფინალში დამაჯერებლად, 24:11 სძლია „არმიას“ და შარშან მოგებული „ბზის თასი“ შეინარჩუნა.

ფინალი ქართული რაგბის ოდინდელ ბინაზე, ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ მოეწყო და 5 ათასი ქომაგი მიიზიდა. რაგბი პირველად გადაიცა საზოგადოებრივი მაუწყებლის „მეორე არხით“, რომელიც ივნისში „ირბ თბილისის თასის“ ტელეპარტნიორიც იქნება.

ფინალისტებმა ორი კვირით ადრე, „შევარდენზე“ გამართეს შესარჩევი ფინალი. ის თამაში თვალსასეირო გამოვიდა და „ლელომ“ 19:13 იმარჯვა, ამჯერად კი ვიხილეთ ურისკო, პრაგმატული, საფინალო რაგბი, რომლის ბედსაც შერკინებაში, დერეფანსა და რაქში ფორვარდებით მძლავრობა, კარში დამრტყმელის სიზუსტე და დაცვის სიმტკიცე წყვეტს.

ყველა ამ კომპონენტში „ლელომ“ აშკარად აჯობა „არმიას“. მარცხენა ბურჯმა გიორგი სანიკიძემ ვიზავი რომ დაჯაბნა, „არმიამ“ 3 ნომერი 25-ე წუთზევე შეცვალა, ტაიმის ბოლომდე კი, თამაშის გეზის შესაცვლელად, ჯარს გამოცდილი ჰავბექის შეყვანაც დაჭირდა.

ამ დროს „ლელო“ უკვე 9 ქულით იყო წინ: შერკინებაში თრევით, წამოყენებითა და ჩაქცევით მოპოვებული ჯარიმები ირაკლი ყიასაშვილმა მეტწილად შორიდან გაიტანა და არეკნიც დროულად დაარტყა, რასაც „არმიამ“ ბახვა კობახიძის ორი ჯარიმითღა უპასუხა — 15:6

მეორე ტაიმი უფრო ცოცხლად დაიწყო: „ბორჯღალოსანთა“ მგეზავმა ლაშა ხმალაძემ გარღვევა მოაწყო და გადაკიდებაც სცადა, მაგრამ თამაში მალევე ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. „არმიას“ ვერც ბითუმმა შეცვლებმა არგეს, ბურჯის გასინბინების შემდეგ კი ყიასაშვილმა სამი ჯარიმაც შეაგდო და ანგარიში 24:6 გახადა.

ჯარიმების გარდა, ფინალი დაამშვენა ირაკლი ჩხიკვაძის მიერ დაჩი კოპაძის ხისტად შემოჭვამ და გიორგი შკინინის პრესტიჟის ღელომ. ყიასაშვილმა 80 წუთში 24 ქულა მოინაგრა და ბომბარდირთა დოღში ერთი, კინკილა ქულით გადაუსწრო აქამდელ ლიდერს, ყოჩ თემურ სოხაძეს, ჩემპიონატის საუკეთესო მელეზოვე კი არმიელი ალეკო ტუჩაშვილი გახდა.

„ლელომ“ „ბზის თასი“ მეოთხედ შემართა (2004, 2009, 2013, 2014), რაც კლუბის მოთამაშეთა რამდენიმე თაობისა და ხელმძღვანელობის — პრეზიდენტ ბათუ კევლიშვილის, მენეჯერ დავით ჯალაღონიას, მწვრთნელების — ლევან მაისაშვილის, მიხეილ სუჯაშვილისა და ნონო ანდღულაძის, აგრეთვე დამხმარე პერსონალის დამსახურებაა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ მუნდიალის წინ

ბრაზილიის პრეზიდენტი რონალდოს პასუხობს

ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა ცნობილი ფეხბურთელის რონალდოს ბრალდებებს უპასუხა, რომელიც თავის მხრივ ეჭვს გამოთქვამს ბრაზილიაში მსოფლიო ჩემპიონატისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის მზადყოფნასთან დაკავშირებით.



როგორც ირკვევა, რონალდომ ჩემპიონატის წარმმართველი ორგანიზაციის კომპეტენტურობაშიც შეიტანა ეჭვი და მუნდიალისთვის მზადების პროცესს „სირცხვილი“ უწოდა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლებს. მე ვამაყობ იმით, რასაც ჩვენ ტურნირისთვის მზადებისას მივაღწიეთ. ჩვენ არ გვაქვს არასრულფასოვნების კომპლექსი და რაიმე მიზეზი სირცხვილისთვის“ — ასე გამოეხმაურა ბრაზილიის პრეზიდენტო რონალდოს კრიტიკას.

შეგახსენებთ იმასაც, რომ გასულ წელს ბრაზილიაში მასშტაბური აქცია გაიმართა, სადაც მოქალაქეების ნაწილი ბრაზილიაში ჩემპიონატის ჩატარების წინააღმდეგ გამოდიოდა. მილიონზე მეტი ადამიანი იყო გამოსული ბრაზილიის ქუჩებში და სახელმწიფო სახსრების ჩემპიონატის მზადებისთვის ხარჯვას ეწინააღმდეგებოდა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ნდობა

ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტის პოსტზე წარადგინეს

შვეიცარიულ ციურიხში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი და შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს ელჩი ირაკლი ყურაშვილი შვეიცარიის კონფედერაციის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ადრიან ციგელს შეხვდნენ.

საგარეო უწყების ინფორმაციით, ცნობილი საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი წარდგენილია ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტის პოსტზე.

არჩევნები გაიმართება მიმდინარე წლის აგვისტოში ნორვეგიაში, ქ. ტრომსოში მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესზე.

ბეჭან დოლიძე

◎ კალათბურთი

თბილისის „დინამო“ სუპერლიგა მოიგო

„დინამო“ საქართველოს ჩემპიონია! დინამოელებმა ფინალური სერიის მე-4 შეხვედრა 91:58 მოუგეს „ქუთაისს“ და სუპერლიგის გამარჯვებულები გახდნენ. თბილისურმა გუნდმა სერია 3:1 მოიგო.

„დინამო“ საქართველოს ჩემპიონი მესამედ გახდა. პირველად დინამოელებმა საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში — 1991 წელს, ლევან მოსეშვილის მწვრთნელობისას გაიმარჯვეს, მეორედ — 2003 წელს, ხორვატი დრაჟენ ბრაიკოვიჩის ხელში, ხოლო მესამედ წლეულს, ირაკლი ხოშტარიას წინამძღოლობით.

სერიის გადამწყვეტი მატჩი „დინამომ“ ისე ჩაატარა, ჩემპიონს რომ შეეფერება. ხოშტარიას გუნდმა ისე ითამაშა, მასპინძლებისთვის შანსი არ დაუტოვებია. ქუთაისელებმა მხოლოდ საწყის 3 წუთში ილიდერეს — დავით ბარბაქაძისა და აკაკი დვალიშვილის ქულებით 7:2 დაწინაურდნენ.

დინამოელებმა მეტოქეს მედგარი დაცვა დაუპირისპირეს და მომდევნო 4 წუთის განმავლობაში ბურთი არ ჩააგდებინეს. აღნიშნული მონაკვეთი თბილისელებმა 13:0 მოიგეს და სოლიდურ ლიდერობას ხომ დაეუფლნენ, თამაშის სადავეებსაც დაეპატრონნენ.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა სტეფან მილოშევიჩი. ჩერნოგორიელი გოლიათის შემჩერებელი ქუთაისელთაგან ვერავინ მოიძებნა. მეორე ტაიმიდან მილოშევიჩს ქიან კარტერიც შეეშველა, რომელმაც თანაგუნდელისგან ფარქვეშ ბატონობა გადაიბარა. დინამოელთა შეტევებს გონივრულად უძღვებოდა ლაშა გამყრელიძე, რომელიც პასებსაც არიგებდა და შეტევებსაც წარმატებით აგვირგვინებდა.

პირველი ტაიმის შემდეგ დინამოელები 18 ქულიით იგებდნენ, მატჩის ბედი კი მესამე მეოთხედის ბოლოსკენ გადაწყვიტეს, როცა 30-ქულიანი ლიდერობის ზღვარს გადააბიჯეს. ბოლო მეოთხედის შუაწელში, როცა მატჩმა საბოლოოდ დაკარგა ინტრიგა, ორივე გუნდმა მოედანზე მეორე შემადგენლობას უხმო და შეხვედრა სათადარიგოებმა ჩაამთავრეს.

25 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო შედეგი სტეფან მილოშევიჩმა დააფიქსირა. 18 ქულა მიითვალა ქიან კარტერმა, ხოლო ლაშა გამყრელიძე სამმაგი დუბლის ზღვრამდე მივიდა — 15 ქულა, 8 მოხსნა, 9 პასი (პლუს 4 ჩაჭრა). ქუთაისელთაგან 15 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა აკაკი დვალიშვილს, 11 ქულა — ავთანდილ ლომინაშვილს.

მატჩის დასრულებისთანავე დინამოელთა საჩემპიონო ზეიმი გაიმართა. ჩემპიონამდე მეორე ადგილის მფლობელი ქუთაისელები დააჯილდოვეს. ვერცხლის მედლები და სპეციალური სიგელები ქუთაისელებს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტებმა — კახა შენგელიამ და ვლადიმერ ბოისამ გადასცეს.

„დინამო“ და „ქუთაისი“ 31 მაისს ისევ ითამაშებენ — ამჯერად სეზონის ბოლო ტიტულს, სუპერთასს გაითამაშებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ უძველ დღეების ქრონიკები

ფესვები მერაბ კოსტავასი

შეხვედრისას უმალ გაუნათდებოდა კუშტი სახე, ხელს ღონივრად მართმევდა და საუბარში აუცილებლად ამასაც მეტყოდა: „როდის წავიდეთ იქით?..“

„იქით“ მაღლაკს ნიშნავდა, ქუთაისს დასავლეთიდან მიკრულ ჩემ მშობლიურ სოფელს გულისხმობდა მერაბი. როდესაც გავიცანი – გასული საუკუ-



ნის სამოციანი წლების დასაწყისში – ფრთხილად შევბედე, „ჩემს სოფელში – მაღლაკში ცხოვრობენ კოსტავები“...

„ვიცი... იქა მაქვს ფესვი, იქ უცხოვრია ჩემ წინაპარს... მერე ქუთაისში გადასულან... საზამთრო და მწვანილი ცოდნია საუცხოო... ქვიანი ადგილიაო... იმიტომაც ვართ ქვასავით მაგრები!..“ და თვალი ეშმაკურად ჩამიკრა.

ვეღარ მოიცალა იქ ჩასასვლელად, სახლიკაცების გასაცნობად... მერე ბორითის ტრაგედიაც დატრიალდა და...

...დიდი სოფელია მაღლაკი – მშრომელი, სტუმართმოყვარე ხალხით დასახლებული. მათში რამდენიმე ათეული ოჯახი, კოსტავაცაა...

მაღლაკელი კაცი ქვიან მიწას ებრძვის თავის დღე და მოსწრება, და, ცხადია, კოსტავებიც ტოლს არ უდებენ მეზობლებს, გარჯით შოულობენ არსობის პურს და ათასხუთასკომლიან სოფელში გულითადობით, კეთილშობილებით გამოირჩევიან. ...სამწუხაროდ, გვარის გამგრძელებელი არ დარჩენია მერაბს. როგორც ვიცით, ტრაგიკულად დაამთავრა სიცოცხლე მისმა ვაჟმაც – ირაკლიმ. მაგრამ ამ გვარს გადაშენება არ უწერია, მისი ფესვები კვლავაც საღია და ღრმად არის გადგმული ქართულ მიწაში, ჩემი სოფლის მიწაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს მერაბ კოსტავა 75 წლისა გახდებოდა. ისე, მართლაც სიმბოლურია, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის დაუცხრომელი მებრძოლი, ჩვენი ეროვნული გმირი, სწორედაც რომ 26 მაისს დაიბადა.

ამას, ხალხის აბუჩად აგდება ჰქვია, ქალბატონო განათლების მინისტრო!

სანამ ვინმე ტელევიზიით გვაცნობებდა, აღდგებოდა თუ არა სამშაბათს სწავლა ჩვენი სკოლების დაბალ კლასებში, ვიფიქრე (გვარიანად მივქარე!), დავრეკავ ერთი განათლების სამინისტროში, იქნებ, წინასწარ გავიგო-მეთქი. ვრეკავ ნომერზე – 2200220, მეუბნებიან, რომ დაველოდო ოპერატორს და მუსიკის თანხლებით ლოდინში გავყურებ საათს, ბარე 2 წუთი გადის. და აი, ოპერატორიც მეუბნება, აქამდე ჩემთვის გაუგონარს: „თქვენ ხართ რიგში მესამე!“ ველოდები, მაინტერესებს, რა მოხდება. ხდება ის, რომ ყოველ 15 წამში ერთხელ (საათს გავყურებ წამდაუწუმ) ოპერატორი მიმეორებს: „თქვენ ხართ რიგში მესამე!“ ეს გრძელდება, თითქმის, 5 წუთს და, ბოლოს და ბოლოს, ოპერატორი მაღირსებს: „თქვენ ხართ რიგში მეორე!“ ყოველ 15 წამში ერთხელ იგი მახსენებს: „თქვენ ხართ რიგში მეორე!“

იმ შვილიშვილს გეფიცებით, ვისთვისაც გავისარჯე, თითქმის 5 წუთს იმეორებდა ოპერატორი ჩემი რიგის ნომერს. გაბრაზებულმა დავაგდე ყურმილი და აღარ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდა ეს შეხსენება.

სასწაულია პირდაპირ! ხომ შეიძლება რიგით ვყოფილიყავი, ვთქვათ, მეხუთე? მეექვსე?! რამდენ ხანს უნდა გამეძლო?!

ქალბატონო მინისტრო! უკაცრაული პასუხია და, თქვენი უწყება, ცდებს ხომ არ ატარებს ტელეფონზე მომლოდინე ხალხის მოთმინებაზე?! თქვენ გსმენიათ იმის შესახებ, რა დღეში არიან ადამიანები, რომელთაც თქვენთან, სამინისტროში დარეკვა სურთ?! დავიჯერო, ვინც „გაბედნიერდება“, ანუ მოუწევს რიგი, მერე კიდევ 5-10 წუთი საუბრობს თქვენ თანამშრომელთან?! მეორე მხარეს კი ვიღაცას ყურმილი უჭირავს და ელოდება?! ეს ხომ დაუჯერებელია?! იქნებ, ლოდინში დახარჯული წუთების საფასური მოქალაქეებს ეწერებათ?! მაშინ კარგად ყოფილა თქვენი საქმე!

ამას ხალხის აბუჩად აგდება ჰქვია, ქალბატონო მინისტრო!

ისე, დღეს, მეტ-ნაკლებად, ყველა სამინისტროში ხელოვნურადაა გაძნელებული ვინმესთან დაკავშირება, მეტადრე, მინისტრთან. ამას ჩვენ, ჟურნალისტებიც კი ვგრძნობთ (ნეტა იმ დროს, ბატონ ოთარ თაქთაქიშვილთან დღეში სამჯერ შევდიოდი, თუ საქმე ითხოვდა), მაგრამ, რასაც განათლების სამინისტროში წავაწყდი, ეს, მართლაც განსაკუთრებულია!

რატომაა „განსაკუთრებული“, ამაზე პასუხს ველოდებით სამინისტროდან!

დაუჯერებელი ფაქტი!..

სანამ მეეზოვეები დაასუფთავებენ, დილაობით, შეიძლება ითქვას, არ შეისვლება თბილისის ბაღებსა და პარკებში. მოფენილია ბილიკებზე, ძელსკამების წინ გაზეთის ნაგლეჯები, სიგარეტის კოლოფები, პლასტმასის ცარიელა ბოთლები, მზესუმზირის ჩენჩო, სიგარეტის ნამწვავები... ჰოდა, ამას წინათ აღტაცება ვერ დავმალე, როდესაც ალექსანდრეს ბაღში ასეთ დაუჯერებელ ფაქტს შევესწარი: ჩემ მეზობლად, ძელსკამზე შუახნის კაცი სიგარეტს ეწევა. აი, წამოდგა იგი, ბარე ათი ნაბიჯი გაიარა და სიგარეტის ნამწვი ურნაში აკურატულად ჩაუშვა... ღმერთო, დიდებულო, ათი წელია აქ დავდივარ და ეგეთი რამე პირველად ვნახე!

მობრუნდა იგი ძველ ადგილას, ერთმანეთს მზერა შევაგებეთ და მე ხუმრობა-აღტაცების კილოთი ვეუბნები: – ეს რა „გმირობა“ ჩაიდინე, კაცო!.. გაებადრა სახე, მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი:

– რამდენი წამი დავკარგე?.. ალბათ, ხუთი...

– ეეე... ყველა რომ ეგრე ფიქრობდეს, ამ დღეში კი არ ვიქნებით! – და იქვე მიყრილ-მოყრილ ქაღალდის ნაგლეჯებზე ვანიშნე.

– სხვათა შორის, როგორც გავიგე, ევროკავშირში ისე არავინ მიგვიღებს, თუ ევროპის ქალაქებივით დაკრიალებული არ იქნება ჩვენი ქალაქები!

ორივენი გულიანად ვიცინით: – აი, რა გვიშველის!

„საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“

აი, რა დრო დადგა: ჩვენ თუ საბჭოთა არმიაში ვმსახურობდით, ესენი – ჩვენი შვილები და შვილიშვილები – მშობელი ქვეყნის ჯარისკაცები არიან და, ლამაზ კოხტა სამხედრო ფორმებში გამოწყობილ-გამოწკეპილნი, მკაცრი სახეებით დგანან რუსთაველზე. დედა, რა აღტაცებით შეჩერებიან გოგონები, თანატოლები... ზოგი კოცნასაც კი უგზავნის. მე, პი-

რადად, სიამაყე მიპყრობს მათ შემხედვარეს და პოეტის სიტყვებს ვიმეორებ გულში: „საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“

შალვა რამიშვილმა ზუსტად იცის...

„იძებნება 100 ძარხანა!“ – იქედნურად წაუწერიათ პლაკატზე თბილისის მერობისთვის მებრძოლ ნიკა მელიას და მის მხარდამჭერებს, აქაოდა, „ოცნება“ ხალხს, რასაც დაპირდა, სად არისო?

მე შემიძლია მიგასწავლოთ, ვინც ზუსტად იცის ამ ქარხნების მისამართი, ნიკა, ბიძიკო! რამდენიმე დღის წინათ შალვა რამიშვილმა თავის შოუში გაამხილა: „100 ქარხანა იმ 100 საავადმყოფოს გვერდით ეძებეთ, ნაციონალებმა რომ წამოჭიმეთო“.

გეიგეთ, ახლაااა!..

ვილენ მარდალეიშვილი

მეუღლე ტასო ილურიძე, შვილები ნანა, ლელა, მაია მელიწკაურები, შვილიშვილი გიორგი კირიუშენკო, და მაყვალა მელიწკაური, დისწულები, ძმისწულები, ახლო ნათესავები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ კონსტანტინეს ძე მელიწკაური

დაკრძალვა 29 V, 14 სთ. დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქ. №25.

ნინო, რუსლან რუსიები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ კარის მეზობელი, შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე

ოთარ მელიწკაური

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ქეთინო, დათო ჭელიძეები, ჯემალ კასრაძე, ავთო გურასაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდებული ქართველი ვაჟკაცი

ოთარ ქოროღლიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

2014 წლის 20 ივნისს, 14.00 საათზე, თბილისში, ვაჟა ფშაველას 43/1 შპს „ელიტა 2“-ის დარბაზში ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება დღის წესრიგით:

1. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის 2013 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ.
მომხს: მ. ებრალიძე – გამგეობის თავმჯდომარე
თანამომხს. ლ. აბულაძე – მთ. ბუღალტერი.
2. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის სარევიზიო კომისიის ანგარიში კოოპერატივში ჩატარებული შემოწმების შედეგებისა და კოოპერატივის მიერ 10-პროცენტიანი წილით დაფუძნებულ შპს „ბანგინოს“, შპს „ღრმაღელეს“, შპს „ცოდნა 2002“-ის და შპს „კოოპტექნიკის“ შემოწმების შედეგების შესახებ.
მომხს. ა. ქუთათელაძე – სარევიზიო კ/თავმჯდომარე
3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მიერ 100-პროცენტიანი წილით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების რეორგანიზაციის შესახებ.
მომხს. ლ. ნეფარიძე – გამგეობის წევრი
4. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.
მომხს. ნ. ხუციშვილი – გამგეობის წევრი
5. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის შპს „ბანგინოს“ და შპს „ღრმაღელე“-სთან დაკავშირებით გამგეობის დადგენილებების დამტკიცების შესახებ.
6. განცხადებები:
6.1. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის დ. ალექსიძის განცხადების შესახებ.
6.2. გამგეობის თავმჯდომარის მ. ებრალიძის განცხადების შესახებ.

კოოპერატივის გამგეობა

◎ კრიმინალი

დააკავეს ნარკორეალიზატორები

შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკის შეძენა-შენახვისთვის ორი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს„ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები 1984 წელს დაბადებული არმენ ა. და 1985 წელს დაბადებული მინას მ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების ჯგუფურად უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დაკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა არმენ ა-ს პირადი ჩხრეკისას 1 შეკვრად დაფასოებული 1,88 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, კანაფის ფისს შეიცავს. მინას მ-ს პირადი ჩხრეკისას კი 11 შეკვრად დაფასოებული 7,77 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, კანაფის ფისს შეიცავს. მინას მ-სგან ასევე ამოღებულია 4 აბი და აბის ნატეხი, რომელიც ექპერტიზის დასკვნით, 0,0333 გრ ბუპრენორფინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულებს მარიხუანის და ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდათ.

◎ ინფორმაცია

პოლიციის ახალი შენობა გუდაურში

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ გუდაურში პოლიციის ახალი შენობა გახსნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, პოლიციის ახალი, ორსართულიანი, თანამედროვე სტანდარტების შენობა უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით არის აღჭურვილი.

მათივე განმარტებით, ახალ შენობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახური: მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ყაზბეგის რაიონული პოლიციის გუდაურის განყოფილება, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და დაცვის პოლიციის დანაყოფები განთავსდა.

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

ჭკვიანისთვის სასაცილოა

სიცილი ყურადღების კონცენტრაციას ახდენს და საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ უფრო მკაფიოდ და ნათლად, დაადგინეს ამერიკელმა მეცნიერებმა.

ისინი თვალყურს ადევნებდნენ 31 მოხალისის ტვინის ტალღოვან აქტიურობას კომედიური, რელიგიური ან დრამატული ვიდეორგოლების ჩვენების დროს.

იუმორისტული გადაცემებისთვის თვალყურის დევნების დროს მონაწილეების თავის ტვინში შეიმჩნეოდა გამატალღების მაღალი დონე. ტალღების ეს ტიპი დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავების გაზრდილ დონესთან, ყურადღებას კონცენტრაციისადმი უნარის გაზრდასთან და მეხსიერების გაუმჯობესებასთან. დრამატული სიუჟეტების ვიდეორგოლების ყურება კი იწვევდა იმ ბრტყელი ტალღების გამოჩენას, რომლებიც დამახასიათებელია ფსიქოლოგიური დისკომფორტის მდგომარეობისთვის.

იუმორს დიდი მნიშვნელობა აქვს ტვინის მუშაობისთვის. ვინაიდან სიცილთან ერთად ტვინი თავისებურ ვარჯიშს ღებულობს, ამბობენ მეცნიერები.

ყველაფერში ზომიერებაა საჭირო

შანსი იცხოვრონ უფრო დიდხანს — მეტი აქვთ ფიზიკური აქტივობის საშუალო დონის ადამიანებს, ვიდრე მარათონის მორბენლებს, მიაჩნიათ ამერიკელ კარდიოლოგებს. ხშირი მომქანცველი ვარჯიშები ჯანმრთელობისთვის სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული.

შეჯიბრებები მარათონულ სირბილში და ტრიატლონში სულ უფრო პოპულარული ხდება. მაგრამ სპორტის ეს სახეობები მრავალსაათიან ვარჯიშებს მოითხოვს, მორბენლები მათზე ხარჯავენ 15-20 საათამდე კვირაში. მათი კუნთები ვერ ასწრებს აღდგენას და იმისთვის, რომ თავიდან აიცილო ტკივილები მთელ სხეულში, ზოგიერთ ენთუზიასტი ვარჯიშს იწყებს ორი-სამი ტკივილგამაყუჩებელი აბის მიღებით, რომლებიც ნეგატიურ ეფექტს ახდენენ გულსა და სისხლძარღვებზე.

ექიმებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ გაიანგარიშონ ოპტიმალური სპორტული დატვირთვა სხეულის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისთვის, მაგრამ გვირჩევენ არ გაგვიტაცოს ვარჯიშებმა, რომლებიც საათზე მეტხანს გრძელდება.

ფრიადოსნებს უფრო დიდხანს სძინავთ

ბავშვის ძილის ხანგრძლივობა მის გარემოცვაზეა დამოკიდებული, მიაჩნიათ მეცნიერებს ცინცინატის უნივერსიტეტიდან (აშშ). მათ შეისწავლეს სკოლის 12-15 წლის დაახლოებით 1000 მოსწავლის მონაცემები. აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებსაც აკონტროლებდნენ მშობლები, დროულად მიდიოდნენ დასაძინებლად. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, როდესაც ბავშვი გადადიოდა საშუალო სკოლაში და სასწავლო დატვირთვაც იზრდებოდა. მშობლების კონტროლი ეხმარებოდა, სწორად განესაზღვრათ დრო საშინაო დავალებების შესრულებასა და დაძინებას შორის.

ანალოგიურ გავლენას ახდენდნენ მეგობრებიც. თუ მეგობრები კარგად სწავლობდნენ, ისინი მოზარდისვის პოზიტიური მაგალითვის როლში გამოდიოდნენ. ის ცდილობდა ადრე შეესრულებინა საშინაო დავალება და მას მეტი დრო რჩებოდა ძილისთვის.

მთლიანად კი გოგონები უფრო ხშირად ჩიოდნენ იმაზე, რომ არ შეუძლიათ მალე დაიძინონ ან დროულად გაიღვიძონ.

◎ ტესტი

ნამეტანს ნუ მოვინდომებთ მოთხოვნებთან დაკავშირებით

თავის თავზე მუშაობა, საკუთარი სრულყოფილება, უეჭველია, მეტად მნიშვნელოვანია — თვითდისციპლინა ხომ წარმატების საწინდარია. მაგრამ ხშირად ვისახავთ მიზნად ამოცანებს, რომელთა დაძლევაც შეგვიძლია? ან, პირიქით, სულაც არ ვისახავთ მათ, არ გვინდა ენერგიის დახარჯვა შორეული მიზნის მისაღწევად?

1. სკოლაში, უნივერსიტეტში თქვენ ფრიადზე სწავლობდით და განწყობილება გიფუჭდებათ ოთხიანების გამოც კი.
ა) დიახ; ბ) არა.

2. ყველაფერი შეისრულეთ, რისი მიღწევაც გინდოდათ ახალგაზრდობაში.
ა) დიახ; ბ)არა.

3. ცხოვრებამ გასწავლათ, იკმაროთ ის, რაც გაქვთ.
ა) არა; ბ) დიახ.

4. შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ ბედნიერი ხართ.
ა) არა; ბ) დიახ.

5. სილამაზე და ფიზიკური ფორმა მნიშვნელოვანია თქვენთვის.
ა) დიახ; ბ) არა.

6. ხშირად ადარებთ თქვენ თავს გარშემომყოფებს.
ა) დიახ; ბ) არა.

7. სხვა ადამიანებს აღიქვამთ, როგორც თქვენს გამკრიტიკებლებს.
ა) დიახ; ბ) არა.

8. იდეალური ფიგურისთვის თავს უარს ეუბნებით ბევრ რამეზე (იცავთ დიეტას, დგებით დილით ადრე, რომ ირბინოთ...).
ა) დიახ; ბ) არა.

9. თქვენ ხართ ბედნიერი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გეგმა მაინც განუხორციელებელი დაგრჩათ.
ა) არა; ბ) დიახ.

10. თუ მიგიმართავთ პროფესიონალი კოსმეტოლოგის დახმარებისთვის.
ა) დიახ; ბ) არა.

11. თქვენ უფრო მეტად ხართ კმაყოფილი სამუშაოზე მიღწეული შედეგებით.
ა) არა; ბ) დიახ.



12. შეგიძლიათ თქვენი დასვენების — სამუშაოსგან, ოჯახური მოვალეობისგან — დაგეგმვა, რისი წყალობითაც ყოველთვის ჯანღონით ხართ აღსავსე და ენთუზიაზმით აპირებთ მათ კვლავ შესრულებას.
ა) არა; ბ) დიახ.

13. ბრალს სდებთ საკუთარ თავს, რომ არ შეგიძლიათ მეტი დრო დაუთმოთ თქვენ შვილებს, მშობლებს, მეორე ნახევარს, საყვარელ ჰობის...
ა) დიახ; ბ) არა.

14. თუ გითქვამთ უარი საკუთარ ამბიციებზე ოჯახის ინტერესების სასარგებლოდ.
ა) არა; ბ) დიახ.

ყოველ პასუხზე „ა“ დაირიცხეთ 1 ქულა, პასუხზე „არა“ - 0 ქულა. შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

14-11 ქულა. თქვენ ძალიან მომთხოვნი ხართ საკუთარი თავისადმი. განწყობილება გიფუჭდებათ, როდესაც ხვდებით, რომ სამუშაო უკეთესად შეიძლებოდა შეგესრულებინათ, როდესაც ვეღარ ასწრებთ ხელახლა შეასრულოთ დღისთვის დაგეგმილი საქმეები ანდა როდესაც ზაფხულისთვის ვეღარ ასწრებთ ზედმეტი წონის დაკლებას. ის ემოციური დისკომფორტი, რასაც თქვენ, უეჭველია, განიცდით, როდესაც სასურველ შედეგებს ვერ ღებულობთ, არ შეიძლება არ აისახოს თქვენს ჯანმრთელობაზე. ისწავლეთ, ზოგჯერ „გამორთოთ“ თვითკონტროლი, მისცეთ თავს ამოსუნთქვის საშუალება... ანდა, უბრალოდ, დასტკბეთ ცხოვრებით.

10-16 ქულა. ზომიერების ფარგლებში. ნამეტანი მისწრაფება სრულყოფილებისკენ ხშირად მარტოსულობასა და ნერვიულ მოშლილობაში გადადის, და ამას თქვენ გრძნობთ. როდესაც თავს იზღუდავთ რაიმეთი, ნუ დაივიწყებთ მთავარს: სულიერ წონასწორობასა და უკვე მიღწეული წარმატების მნიშვნელობას. შეგიძლიათ საკუთარი თავის შექება, აგრეთვე გესმით, რომ წარუმატებლობის გარეშე არ არსებობს დიდი მიღწევები.

6-0 ქულა. თქვენ ძალიან მომთხოვნი არ ხართ საკუთარი თავისადმი. შემწყნარებელი და პასიური — თუ საკუთარი პერსონისადმი ასეთი წინასწარ აუკვიატებელი დამოკიდებულება თქვენ გხდით ბედნიერს, ნუ შეიცვლებით. მაგრამ ნურც ჩივიხართ წარუმატებლობის შემთხვევაში! შეეცადეთ დასაწყისისთვის შეხედოთ საკუთარ თავს, საკუთარ გარეგნულ იერს, სამუშაო ადგილს, ცხოვრების თქვენეულ რიტმს... როდესაც მეტ ყურადღებას დაუთმობთ საკუთარ თავს, არაფერს დაკარგავთ, პირიქით, დაინახავთ, რომ თქვენი ძალისხმევა უკეთეს ცვლილებებს მოგიტანთ.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— შენ, რა, ბავშვობაში ყურზე ფეხი დათვმა დაგაბიჯა?
— სხვათა შორის, შესანიშნავი სმენა მაქვს!
— სულ არ მაინტერესებს შენი სმენა. შენს ყურებს შეხედე, რას ჰგავს!

* * *

ვუყურებ საკუთარ გამოსახულებას სარკეში — რაში ეკუთვნოდა ჩემს ქმარს ასეთი ბედნიერება, მერე სასწორზე დავდექი — თანაც ამხელა!

* * *

— **რატომ** დაიქირავეთ ასეთი ახალგაზრდა ადვოკატი? — ეკითხება მოსამართლე განსასჯელს.

— იცით რა, მგონია, რომ ჩემი პროცესი ძალიან გაჯანჯღლდება.

* * *

დედა თავის პატარა შვილთან ერთად გვიან ღამით ტაქსით ბრუნდება სახლში. ბიჭმა დაინახა გზის განაპირას მდგომი ქალები და დედას ეკითხება:
— რატომ დგანან აქ ეს დეიდები?
— ეს დეიდებიც სტუმრად იყვნენ და თავიანთ ქმრებს ელოდებიან, — უპასუხებს შეცბუნებული დედა.
— რატომ ატყუებთ ბავშვს? — ჩაერია საუბარში ტაქსისტი. დაე, იცოდეს სიმართლე — ეს ქალები, შვილო, მეძავები არიან.
— დედა, მეძავებს შვილები ჰყავთ? — ეკითხება ამის გამგონე შვილი დედას.
— კი, შვილო.
— და რას აკეთებენ ისინი ახლა, ასე გვიან?
— ტაქსისტებად მუშაობენ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24